



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა “სამართალი”

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 25.05.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 02.07.2021 წ.

თბილისი

2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მესამე საფეხური - დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0421 - სამართლის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	45
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	პირობითი აკრედიტაცია - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 28 სექტემბრის N904416 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯაყელი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სესილი ქადარია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლიპარტია - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაზღვევო კომპანია არდის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზვიად როგავა, ევროპის უნივერსიტეტის ვიცე რექტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, უმაღლესი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

“სამართლის” სადოქტორო პროგრამა შპს “საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში” მოქმედებს 2013 წლიდან. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც რეგულირებად პროგრამას, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2013 წლის 3 იანვრის N10 გადაწყვეტილებით. სტუდენტთა პირველი ნაკადი პროგრამაზე ჩაირიცხა 2013-2014 სასწავლო წელს. პროგრამა აგებული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურით, რომელშიც სასწავლო კომპონენტი მიცავდა 60 კრედიტს, ხოლო დანარჩენი განაწილებული იყო კვლევით კომპონენტზე, ჯამში 180 კრედიტი/ECTS.

2018 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 31 იანვრის N25 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას უარი უთხრა პროგრამის აკრედიტაციაზე, რაც გასაჩივრებული იქნა, თუმცა სააპელაციო საბჭომ 2018 წლის 29 მარტის N05 გადაწყვეტილებით გაიზიარა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და დაწესებულებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა.

შპს “საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში” აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის საკითხზე დავა განაგრძო სასამართლოში (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში), რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (#3/6453-19 გადაწყვეტილებით) დაავალა მომჩივანი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2020 წლის 28 სექტემბერს N904416 გადაწყვეტილებით შპს “საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის” სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა ერთ წლიანი პირობითი აკრედიტაცია და განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის გ) ქვეპუნქტის თანახმად „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მოსაყვანია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.

- პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.
- პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და მიზნების მიღწევადობის ერთ ერთი ფუნდამენტური გარანტია პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ყველა ვალდებულების აკადემიურ დონეზე განხორციელება. ამიტომაც, უნდა გადაიხედოს სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებული საკითხები, სამეცნიერო ნაშრომების აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები, სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები.
- პროგრამის მიზანი-შექმნას ახალი ცოდნა და შესთავაზოს სტუდენტს კვლევის ინოვაციური მეთოდები, საჭიროებს ახსნას და დეტალიზებას პროგრამის შინაარსით (და სათანადო კომპონენტებით), რათა უკეთ იქნეს გაგებული პროგრამის მიღწევადობის შედეგები, ამავდროულად, -პროგრამის მომხმარებლისთვისაც უკეთ იყოს გაგებული, რატომ უნდა აირჩიოს კონკრეტულად ეს პროგრამა და არა სხვა.
- პროგრამის მიზნის მიღწევადობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების გამოყენების პოლიტიკა. აუცილებელია მყარი ურთიერთკავშირების გამოკვეთა სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში უნდა განისაზღვროს უცხო ენათა რაოდენობა ჩამონათვალის სახით, რათა უნივერსიტეტს არ შეექმნას პრობლემა მიღებული დოქტორანტის იმ ენაზე სწავლის რესურსით უზრუნველყოფის კუთხით, რომელ ენაზეც ლიტერატურაც (მათ შორის, ელექტრონული) არ მოიძიება მის საბიბლიოთეკო ბაზაში. ამასთან, უცხო ენის განსაზღვრა ხელს უწყობს პროგრამაზე მიღების გამჭვირვალობასა და ღიაობას.
- დებულებაში უნდა გაიწეროს ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოხდება სადისერტაციო თემატიკის წინასწარ განსაზღვრა, რომელზეც დოქტორანტობის მსურველ პირს შეეძლება ჩაბარება.
- უნივერსიტეტმა სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილში, სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უნდა გამოიჯნოს შეთავაზებული კომპონენტების მიხედვით, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება

თითოეული კომპონენტის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან და რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- საჭიროა მაქსიმალურად მოხდეს წახალისება, საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა სრული დაფინანსება საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნება. იმისთვის, რომ სტუდენტმა შეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ნაშრომის დამუშავება, საჭიროა გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი კვლევითი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იქნეს სამართლის ყველა დარგის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ და აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია.
- აუცილებელია იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზების ინტეგრირება კვლევის პროცესში, რამდენიმე მნიშვნელოვან ელექტრონულ სამართლებრივ ბაზაზე (მაგ., HEINONLINE, BEBKONLINE, LEXINEXIშ, ჰემთLAჰ და ა.შ.) შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა;
- აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად აქტიურად და რეალურად იყოს გამოყენებული შიდა და გარე შეფასების მექანიზმები, რა პროცესში რეალურად იქნება ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე;
- აუცილებელია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი სრულად ასოცირდებოდეს უნივერსიტეტთან და მისი პირველადი და ძირითადი საქმიანობა კვლევა, პროგრამის ხელმძღვანელობა იყოს, რათა მაქსიმალურად ბევრი დრო დაუთმოს პროგრამის განხორციელებასა და მის შემდგომ განვითარებას.

პირობითი აკრედიტაციის პერიოდის განმავლობაში დაწესებულებას პროგრამაზე სტუდენტთა მიღება არ განუხორციელებია.

დაწესებულებამ, პირობითი აკრედიტაციის პერიოდში მოახდინა პროგრამის განახლება, შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა და აკრედიტაციის მოპოვების მიზნით ხელახლა განაცხადის წარდგენა.

პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს (35 სავალდებულო, ხოლო 10 კრედიტი არჩევითი კურსები) სასწავლო კომპონენტს და კვლევით კომპონენტს - სადისერტაციო ნაშრომს. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის “აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის “სამართლის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ” 2021 წლის 29 აპრილის #7210000432343 ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 25 მაისს დისტანციურად. შეფასება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. შესრულდა ყველა დაგეგმილი აქტივობა, ინტერვიუ და მონიტორინგი. დაწესებულებამ უზრუნველყო აკრედიტაციის ჯგუფის მუშაობისთვის ყველა საჭირო ან მოთხოვნილი პირობის შესრულება.

ვიზიტის ბოლოს, იმავე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის სადოქტორო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

შეფასების მიმდინარეობისას გაუთვალისწინებელ ან ხელისშემშლელ ფაქტებს/ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მოწოდებული მასალების/ინფორმაციის შესწავლა-შეფასების, ინტერვიუს, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფს, შპს “საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის” “სამართლის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე ჩამოყალიბდა პოზიცია, რომელიც სტანდარტებისა და შესაბამისი კომპონენტების მიმართ გამოიხატება შემდეგი სახით:

	სტანდარტი	კომპონენტი	შეფასება	საბოლოო შეფასება
1.	განმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	1.1. პროგრამის მიზნები	მეტწილად შესაბამისია	მეტწილად შესაბამისია

		1.2.	პროგრამის სწავლის შედეგები	ნაწილობრივ შესაბამისია	
2	სწავლების მეთოდოლოგია და რგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	2.1.	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისია	ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან
		2.2.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	ნაწილობრივ შესაბამისია	
		2.3.	სასწავლო კურსი	ნაწილობრივ შესაბამისია	
		2.4.	პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	ნაწილობრივ შესაბამისია	
		2.5.	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისია მოთხოვნებთან	
		2.6.	სტუდენტების შეფასება	ნაწილობრივ შესაბამისია	

3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	3.1.	სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება	მეტწილად შესაბამისია	მეტწილად შესაბამისია
		3.2.	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	მეტწილად შესაბამისია	
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	4.1.	ადამიანური რესურსი	მეტწილად შესაბამისია	ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან
		4.2.	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	ნაწილობრივ შესაბამისია	
		4.3.	მატერიალური რესურსი	შესაბამისია მოთხოვნებთან	
		4.4.	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	ნაწილობრივ შესაბამისია	
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	5.1.	შიდა ხარისხის შეფასება	ნაწილობრივ შესაბამისია	მეტწილად შესაბამისია
		5.2.	გარე ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისია	

		5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	მეტწილად შესაბამისია	
--	--	--	-------------------------	--

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების 2021 წლის 23 ივნისის №01-03/51 წერილით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, განხილული იქნა კოლეგიალურად, თუმცა არცერთი მისი ნაწილი არ იქნა ცნობილი სათანადოდ დასაბუთებულად, შესაბამისად არ იქნა გაზიარებული. საბოლოო დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფის ინიციატივით შეტანილი იქნა მცირე კორექტირებები, რომელსაც არ გამოუწვევია სტანდარტის, მისი კომპონენტის ან რეკომენდაცია/რჩევების ნაწილში არსებითი ცვლილება.

▪ **რეკომენდაციები**

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1. სტანდარტთან მიმართებაში

1. მიზანშეწონილია დაწესებულებამ დამატებით განიხილოს და გადაწყვიტოს სამართლის სადოქტორო პროგრამის და შესაბამისი საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების კორექტირება, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება რა სახით, მოცულობით ან შინაარსით/პირობებით უნდა ეზიაროს დოქტორანტი მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კომპონენტებს, და აღნიშნულ ნაწილში შესაბამისობაში მოიყვანოს მიზნებისა და შედეგების თავსებადობის რუკა.

1.2. სტანდარტთან მიმართებაში

2. მიზანშეწონილია დაწესებულებამ, პროგრამის სწავლის მე-9 შედეგის მიღწევისა და დოქტორანტის ობიექტური/ადეკვატური შეფასების მიზნით, ხელახლა განიხილოს და შეიტანოს შესაბამისი კორექტირებები პროგრამის შინაარსში, სწავლის შედეგებსა და მათი შედეგების შეფასებაში.
3. პროგრამის მე-3 დანართში (გვ.13) “სამიზნე ნიშნულებში” გათვალისწინებული იქნას შესაბამისი მონაცემები სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შესახებ და არ იყოს შემოფარგლული მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომით.
4. სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით

2.1. სტანდარტთან მიმართებაში

5. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამით ან პროგრამის დანართით (მიღების დოკუმენტით) პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და მიღების პროცედურების გარდა დეტალურად აღიწეროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).

2.2. სტანდარტთან მიმართებაში

6. რეკომენდებულია სადოქტორო საფეხურზე დოქტორანტებს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“-ს ნაცვლად სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ სამართლის დოქტორანტებისთვის რელევანტური სასწავლო კურსი „იურიდიული კვლევის მეთოდები“ (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ თემატიკაზე არაერთი სახელმძღვანელოა გამოცემული ინგლისურ ენაზე), რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას იურიდიული კვლევის ამოცანების, სახეების, ბუნების, მიზნის, იურიდიული კვლევის ძირითადი ეტაპების, დოქტრინული და არადოქტრინული იურიდიული კვლევის მიზნებისა და ძირითად ხერხების, იურიდიული კვლევის მოდელების, იურიდიული კვლევის თანამედროვე ტენდენციების, ჰიპოთეზის წყაროების, კვლევის დიზაინის სახეების და ა.შ. შესახებ;
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსი კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ მხოლოდ იმ დოქტორანტებს, რომლებსაც აღნიშნული სასწავლო კურსი არა აქვთ გავლილი სამაგისტრო საფეხურზე;
8. რეკომენდებულია, კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში დოქტორანტს მიეცეს შესაძლებლობა შეისწავლოს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების უახლეს მიღწევები, რაც მას არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას მისცემს. ამასთან, უნდა გამოირიცხოს კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის რომელიმე ნაწილის, მათ შორის, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის პროექტის (პროსპექტუსის) შესრულება, ვინაიდან დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით);
9. რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ გადატანილი იქნას სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში, რათა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ითვალისწინებდეს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.
10. რეკომენდებულია, კვლევითი სემინარების დაშვების წინაპირობას წარმოადგენდეს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, ხოლო პროფესორის ასისტენტობის დაშვების წინაპირობას - სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“.

2.3. სტანდარტთან მიმართებაში

11. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის მე-9 სწავლის შედეგის მისაღწევად უსდ-მ გამოიყენოს სხვა რელევანტური სასწავლო კურსები/აქტივობები;
12. რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ისეთ სასწავლო კურსებს/სხვა სასწავლო აქტივობებს, რომლებიც შეძენენ დოქტორანტს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას, რაც საშუალებას მისცემს მას არა მხოლოდ გაიფართოვოს საკუთარი

ცოდნის არეალი, არამედ შემლოს კიდევ ინოვაციური მეთოდების გამოყენება, ასევე საკითხის სისტემური და კრიტიკული ანალიზი;

13. რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და დააზუსტოს სასწავლო აქტივობის - პროფესორის ასისტენტობის კრედიტების რაოდენობა, კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტის მიერ შესასრულებელი დავალებების მოცულობის გათვალისწინებით;
14. რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროებისა და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე. ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.

2.4. სტანდარტთან მიმართებაში

15. იმისთვის, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფდეს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, რეკომენდებულია, პროფესორის ასისტენტება სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან გადატანილი იქნეს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში;
16. იმისათვის, რომ პროფესორის ასისტენტობის პროცესი იყოს ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადია, როგორც დოქტორანტებისთვის, ასევე შესაბამისი სასწავლო აქტივობის განმახორციელებლისთვის, რეკომენდებულია პროფესორის ასისტენტობის სილაბუსი ან თანდართული დოკუმენტები ითვალისწინებდეს პროფესორის ასისტენტობის გეგმას, რაც გულისხმობს ყოველკვირეულად განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, ასისტირებასთან დაკავშირებული დავალებების ინსტრუქციას და სხვ;
17. რეკომენდებულია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აისახოს დოქტორანტის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო მექანიზმები. ამასთან, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში დოქტორანტის ინტეგრაციის მიზნით, რეკომენდებულია დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციები უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამასთან, ამავე მიზნით დოქტორანტმა ერთი პუბლიკაცია მაინც უნდა გამოაქვეყნოს არა ზოგადად რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, არამედ ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

2.6. სტანდარტთან მიმართებაში

18. რეკომენდებულია, უსდ-მ სასწავლო კურსებში დოქტორანტთა შესაფასებლად დახურული კითხვების, თეორიულ საკითხების, ტესტების და ზეპირი გამოკითხვების ნაცვლად უფრო ფართოდ გამოიყენოს შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა ანალიტიკური რეფერატის, კვლევითი ნაშრომის/პროექტის, კვლევითი სტატიის მომზადება და მათი საჯარო პრეზენტაცია, კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით;

19. ვინაიდან ოპონენტი იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, სადისერტაციო ნაშრომის ობიექტურად შეფასების მიზნით, რეკომენდებულია, სადისერტაციო კომისიაში და სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მსგავსად ასევე არ მონაწილეობდნენ ოპონენტები;
20. რეკომენდებულია, უსდ-მ შეისწავლოს, როგორც ეროვნული, ასევე უცხოური პრაქტიკა და შეიმუშავოს გასაჩივრების სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი ისეთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დოქტორანტს გასაჩივროს არა მხოლოდ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება, არამედ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტი გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევაც;
21. იმისათვის, რომ სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ყოველსემესტრული ანგარიშის წარდგენის პროცედურა იყოს ცხადი, როგორც დოქტორანტისათვის, ასევე სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წევრებისათვის, რეკომენდებულია, სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აღიწეროს როგორც სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის ფორმირების წესი, ასევე დოქტორანტის ყოველსემესტრული ანგარიშისადმი წაყენებული მოთხოვნები (მოცულობა, შინაარსი და ა.შ.). სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ ასევე უნდა დაზუსტდეს განმავითარებელი შეფასების ფარგლებში დოქტორანტი მიიღებს თუ არა დარგობრივი კომისიისაგან შენიშვნებსა თუ რეკომენდაციებს და მათი გათვალისწინება სავალდებულო იქნება თუ არა დოქტორანტისთვის დისერტაციის წარდგენამდე.
22. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა იყოს საჯარო. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება უნდა ჰქონდეს დაესწროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვას და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, აღნიშნული ჩანაწერი აისახოს სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“.

3.1 სტანდარტთან მიმართებაში

23. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ხელშეწყობის ეფექტური სტრატეგია.

3.2 სტანდარტთან მიმართებაში

24. რეკომენდირებულია სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს აკადემიური პერსონალი, თანახელმძღვანელის შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეული პერსონალის არჩევა. აღნიშნული დაეხმარება დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის განხორციელებასა და პროგრამის დასრულებაში, შესაბამისად, დებულებაში დასაზუსტებელია სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის წესი.

4.1 სტანდარტთან მიმართებაში

25. აფილირებული პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები იყოს განსხვავებული ანაზღაურების პირობების შესაბამისად;
26. უსდ-ს მიერ მოხდეს აკადემიური პერსონალის მიერ აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

4.2 სტანდარტთან მიმართებაში

27. გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის წახალისება/მხარდაჭერა სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის პროცესში;
28. გაუმჯობესდეს უსდ-ს მიერ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის, სამეცნიერო, კვლევითი და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

4.4 სტანდარტთან მიმართებაში

29. რეალისტურ მონაცემებზე, წყაროებზე დაფუძნებით პროგრამის მკაფიო ბიუჯეტის შედგენა;

5.1 სტანდარტთან მიმართებაში

30. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების შესახებ დამტკიცებული შიდა აქტით განსაზღვრული მექანიზმების დანერგვისა და გამოყენების პროცესების მომწესრიგებელი ნორმების შემუშავება და მათი განხორციელების პროცესების ჯეროვნად რეგულირება;
31. შიდა მარეგულირებელი აქტების, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების განხორციელების დებულების იმ ნორმების შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან, სადაც დოქტორანტურის პროგრამების მოცულობა განსაზღვრულია 180 კრედიტით;
32. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის ზუსტი მექანიზმების განსაზღვრა.

5.2 სტანდარტთან მიმართებაში

33. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გარდა კანონმდებლობით დადგენილი გარე შეფასების მეთოდებისა, რომლებიც ისედაც სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის, რეგულარულად უზრუნველყოს პროგრამის გარე შეფასება სხვადასხვა მეთოდებით (დამსაქმებლების მიერ, განმავითარებელი კოლეგიალური, უცხოელი ექსპერტების ჩართულობით) და უზრუნველყოს შეფასების შედეგების შემდგომი განხილვისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისათვის გამოყენება. ხოლო შიდა შეფასებების განხორციელების პროცესები დეტალურად უნდა იყოს ფორმალურად გაწერილი, შესაბამისი პერიოდულობის, გამოსაყენებელი მეთოდის, პასუხისმგებელი პირებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შემდგომი რეაგირების ღონისძიებების მითითებით.

5.3 სტანდარტთან მიმართებაში

34. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნა, შესაბამისი მარეგულირებელი აქტის გაწერის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების პროცესი მონიტორინგის მიზნებისათვის, მათ შორის, ისეთი კომპონენტები, როგორცაა სტუდენტების მიერ სასწავლო კომპონენტებისა და ამ კომპონენტების განმახორციელებელი პირების სხვადასხვა კრიტერიუმებით შეფასება ამ კურსების დასრულებისას, სწავლების პროცესის შემოწმება ლექციებზე დასწრების მეშვეობით, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებისა და ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევებისა და შეფასებების განხილვის ვალდებულება და პერიოდულობა და სხვა. ამასთან, პროგრამაში დასაქმების ბაზრის მუდმივად ცვალებადი

მოთხოვნების ასახვის მიზნით, აუცილებელია რეგულარულად ხორციელდებოდეს დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შედეგების ანალიზი და შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რჩევები:

1.1. სტანდარტთან მიმართებაში

1. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

1.2. სტანდარტთან მიმართებაში

2. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

2.1. სტანდარტთან მიმართებაში

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭირვალობის მიზნით, სასურველია, უსდ-მ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დააზუსტოს B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატები და შესაბამისი ქულები, ხოლო ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან გაანთავისუფლოს მხოლოდ ის პირები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში.

4. სასურველია „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დეტალურად განისაზღვროს მიმღები (დარგობრივი) კომისიის მუშაობის წესიც.

2.4. სტანდარტთან მიმართებაში

5. სასურველია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს არა სდასუ-ს სამართლის სკოლის ნებისმიერი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, არამედ მხოლოდ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სდასუ-ს სამართლის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი.

2.5. სტანდარტთან მიმართებაში

6. სასურველია, სადოქტორო საფეხურზე უფრო ინტენსიურად იქნეს გამოყენებული პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტს განიმტკიცოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

3.1 სტანდარტთან მიმართებაში

7. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოფს სამართლის სადოქტორო პროგრამის ვებგვერდზე განთავსება, რის შედეგადაც სტუდენტებს მიეცემათ პროგრამის გაცნობის საშუალება.

3.2 სტანდარტთან მიმართებაში

8. უსდ-მ უზრუნველყოს ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურისა და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების კონკრეტიკა და ბუნდოვანი ნორმების აღმოფხვრა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნის და უნარების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. კერძოდ, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამართლის სფეროში არსებული გამოწვევების კომპლექსური კვლევების განმახორციელებელი მკვლევარის მომზადება, მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დამყარებული ახალი ცოდნის შექმნა, სამართლის ცალკეული დარგის მეცნიერების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის კომპლექსური პრობლემების გადაჭრისთვის შემუშავებული სწორი და ეფექტური გადაწყვეტის პრაქტიკაში დანერგვა და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპის, ეთიკის ნორმების დაცვით, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული კვლევების განხორციელება და სხვა.

პროგრამის წამოდგენილი მიზნები უმეტესწილად ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. პროგრამის შინაარსის (სასწავლო კომპონენტების), გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიისა და არსებული აკადემიური რესურსების გათვალისწინებით, კითხვას აჩენს მე-2 მიზანი, რომელიც მოიცავს მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დამყარებული ახალი ცოდნის შექმნას. პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკით ირკვევა, რომ მიზანი შედეგობრივად უკავშირდება: 1. სამართლის კონკრეტული დარგის აქტუალურ საკითხებზე, თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის გამოვლენასთან; 2. სამართლის სფეროს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი

ტენდენციების და მიდგომების კონცეპტუალურ ანალიზთან და 3. სამართლის კონკრეტული დარგის და პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მეცნიერული რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო ხასიათის წინადადებების შემუშავებასთან, რაც ერთმნიშვნელოვნად და ცხადად ვერ პასუხობს დასახული მიზნის შედეგებში ტრანსფორმირებას. საყურადღებოა, რომ მიზნებისა და შედეგების თავსებადობის რუკის შედგენისას ყურადღების მიღმა დარჩა მე-2 მიზანთან ყველაზე ახლოს მდგომი მე-4 შედეგი, რომელიც მოიცავს მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას. აღნიშნული საკითხი ასევე კავშირშია სასწავლო და კვლევით კომპონენტთან, მკაფიოდ არ იკვეთება მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში დოქტორანტის ცოდნის და უნარების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტები. ინტერვიუს შედეგად, პროგრამის ხელმძღვანელები უთითებენ ნაგულისხმევ კავშირსა და წინაპირობებზე, რომ დისერტაცია თავისთავად გულისხმობს მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კომპონენტებს, რასაც ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს. ამ კუთხით მიზანშეწონილია დაწესებულებამ დამატებით განიხილოს და გადაწყვიტოს სამართლის სადოქტორო პროგრამის და შესაბამისი საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების (სასწავლო პროცესის მართვის და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება) კორექტირება, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება რა სახით, მოცულობით ან შინაარსით/პირობებით უნდა ეზიაროს დოქტორანტი მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კომპონენტებს.

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების, მათ შორის, დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამა და საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- უსდ-ის ვებგვერდი <https://sdasu.edu.ge>;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

<p>რეკომენდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიზანშეწონილია დაწესებულებამ დამატებით განიხილოს და გადაწყვიტოს სამართლის სადოქტორო პროგრამის და შესაბამისი საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების კორექტირება, სადაც მკაფიოდ გამოჩნდება რა სახით, მოცულობით ან შინაარსით/პირობებით უნდა ეზიაროს დოქტორანტი მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კომპონენტებს, და აღნიშნულ ნაწილში შესაბამისობაში მოიყვანოს მიზნებისა და შედეგების თავსებადობის რუკა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე (1.1 სტანდარტის ველში აღწერილი გამონაკლისის გათვალისწინებით). პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის გააჩნია 9 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გარკვეულწილად გამოყენებულია ბლუმის განახლებული ტაქსონომია, რომელიც მოიცავს ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების ექვს პროგრესულ დონეს. თითოეული დონისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ზმნები. აღნიშნული ზმნების გამოყენებით მარტივდება სწავლის შედეგების შეფასება.

პროგრამის სწავლის შედეგები მთლიანობაში/უმეტესწილად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სამართლის დოქტორი) და სწავლების სადოქტორო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად ასახავს იმ ცოდნას, რომლებიც სამართლის დოქტორს უნდა გააჩნდეს პროგრამის დასრულებისას. სამართლის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: **ავლენს** - სამართლის კონკრეტული დარგის აქტუალურ საკითხებზე თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას; **აღწერს** - კომპლექსურ სამართლებრივ პრობლემებს და მის გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; **ანალიზებს** - სამართლის სფეროს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ ტენდენციებსა და მიდგომებს; **ახდენს** - სამართლებრივი პრობლემის ფორმულირებას და მის მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისთვის შესაბამისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, სამეცნიერო კვლევის შედეგების (ახალი ცოდნის) ზეპირი/წერილობითი ფორმით წარმოჩენას; **არჩევს და იყენებს** - სამართლის სფეროში კონკრეტული სამეცნიერო კვლევისა და სწავლებისათვის რელევანტური აკადემიური წერის და კვლევის მეთოდებს; **შეიმუშავებს** - სამართლის კონკრეტული დარგის და პრაქტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვან მეცნიერულ რეკომენდაციებსა და საკანონმდებლო ხასიათის წინადადებებს; **გეგმავს და ახორციელებს** - აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით საკუთარი პასუხისმგებლობით ან/და ხელმძღვანელობით უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ კვლევებს, დამოუკიდებლად წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების პროცესს; **ახორციელებს** - პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, საკუთარი და დაქვემდებარებული პირების პასუხისმგებლობის გააზრებით პრაქტიკულ შრომით საქმიანობას.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის მე-9 შედეგთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა კითხვა მისი შეფასების თაობაზე. შესაბამის კითხვაზე დაწესებულების წამრომადგენლებმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ

აღნიშნული სწავლის შედეგი ფასდება დისერტაციის მეშვეობით, რაც არარელევანტურია, ვინაიდან ის ვერ უზრუნველყოფს დოქტორანტის მიღწევების რეალურ შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კომპონენტები არ ითვალისწინებს შესაბამის აქტივობას და არჩევითი კომპონენტები შეიცავენ რისკს, რომ არ იქნება არჩეული სტუდენტის მიერ. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია დაწესებულებამ ხელახლა განიხილოს და შეიტანოს შესაბამისი კორექტირებები პროგრამის შინაარსში, სწავლის შედეგებსა და მათი შედეგების შეფასებაში.

დარგის სპეციფიკის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით, სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებული (უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 1 სტუდენტმა), სამართლის სფეროს დამსაქმებლები. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სწავლის შედეგების შედგენისას უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზით უსდ-ის მიერ დადგენილია სამართლის დარგის საჭიროებები, ასევე რა ცოდნისა და უნარების კურსდამთავრებულები სჭირდებათ დამსაქმებლებს. ანალიზის შედეგების შესაბამისი ცოდნა და უნარები უსდ-ის მიერ ასახულია სწავლის შედეგებში. გარდა აღნიშნულისა ინტერვიუს შედეგებით ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას. ამასთან, დადგინდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტ-ნაკლებად იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

უსდ-ის მიერ შემუშავებულია „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომლის თანახმად, სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობით. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება იმ სასწავლო კურსებში/კომპონენტებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომი.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. სხვადასხვა შედეგისთვის განსაზღვრულია 60%, 70% და 80%-იანი ნიშნულები. აღნიშნული დოკუმენტით ძირითად საზომ კომპონენტს წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომი და არ მოიცავს სავალდებულო სასწავლო კომპონენტებს. შესაბამისად დოკუმენტი არ არის სრულფასოვანი და კითხვის ნიშნის ქვეშ აქცევს

სავალდებულო სასწავლო კომპონენტების მიზანშეწონილობას. აუცილებელია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს და შესაბამის სქემაში მოექცეს ინფორმაცია სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობაც.

უსდ-ის მიერ პროგრამის სწავლის შედეგები პირდაპირი მეთოდების გარდა, ასევე ფასდება არაპირდაპირი მეთოდებითაც. არაპირდაპირი შეფასებისას შემფასებელი (სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვა) პროგრამის სწავლის შედეგს აფასებს სპეციალური კითხვარის საშუალებით.

საერთო ჯამში, გარდა ზემოთ აღნიშნული გამონაკლისებისა, პროგრამის სწავლის შედეგები უმეტესწილად მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია (რაც მათ შეფასებას გულისხმობს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ხარისხის მიმართ დამოკიდებულებების და დამსაქმებლების მოთხოვნების შესწავლა - თვისებრივი კვლევის ანგარიში);
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვები);
- კურსდამთავრებულთა დასაქმების, ასევე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი, სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები;
- უსდ-ის მიერ შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- სამიზნე ნიშნულები;
- კურიკულუმის რუკა;
- უსდ-ის ვებგვერდი <https://sdasu.edu.ge>;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია დაწესებულებამ, პროგრამის სწავლის მე-9 შედეგის მიღწევისა და დოქტორანტის ობიექტური/ადეკვატური შეფასების მიზნით,

ხელახლა განიხილოს და შეიტანოს შესაბამისი კორექტირებები პროგრამის შინაარსში, სწავლის შედეგებსა და მათი შედეგების შეფასებაში.

- პროგრამის მე-3 დანართში (გვ.13) “სამიზნე ნიშნულებში” გათვალისწინებული იქნას შესაბამისი მონაცემები სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შესახებ და არ იყოს შემოფარგლული მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომით;
- სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებდეს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
---	--	---	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამაზე სწავლის მსურველს ასევე მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

ამასთან, დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც სურს სამართლის სადოქტორო პროგრამაზე სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, მოეთხოვება ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით.

შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების ზემოაღნიშნული წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, ითვალისწინებს სადოქტორო საფეხურისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და პროგრამის სპეციფიკას.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალეობის მიზნით, სასურველია, უსდ-მ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დააზუსტოს B2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატები და შესაბამისი ქულები, ხოლო ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან განთავისუფლოს მხოლოდ ის პირები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გარდა, სადოქტორო საფეხურზე დაშვების სხვა წინაპირობები და პროცედურები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულია „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“- ავ.

„სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“ მე-18 მუხლის თანახმად, დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა და დოქტორანტობის კანდიდატა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება.

ამასთან, ამავე დებულების მე-19 მუხლის თანახმად, დოქტორანტურაში პირი ჩარიცხება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წინასწარ არჩეული სადისერტაციო თემით, თუმცა დოქტორანტურაში ჩარიცხვა შესაძლებელია უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საკვლევ თემაზეც.

აპლიკანტმა სდასუ-ს რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება. განცხადებას თან უნდა დაერთვოს:

9. განმცხადებლის რეზიუმე („CV“);

10. სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

11. პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

12. სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;

13. განმცხადებლის წერილობითი დასტური იმისა, რომ არ ირიცხება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში.

სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე დაიშვებიან სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის ის მსურველები, რომლებმაც აკმაყოფილებენ, კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს. დოქტორანტურაში ჩარიცხვა შედეგადად ორი ეტაპისგან:

14. პირველ ეტაპზე აპლიკანტი, შესაბამისი სერტიფიკატის ან ინგლისურ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში, აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში, მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურების მიზნით, სდასუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიასთან;

15. მეორე ეტაპზე აპლიკანტი აბარებს ზეპირ გამოცდას/გასაუბრებას სადისერტაციო საბჭოს წევრებისგან (სამართლის სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე) სდასუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილ დარგობრივ კომისიასთან. დარგობრივი კომისიას აპლიკანტი წერილობითი სახით წარუდგენს საკუთარ ხედვას (კონცეფციას) საკვლევ თემაში დანახული პრობლემების გადაჭრის გზების, კვლევის პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების და სავარაუდო შედეგების შესახებ.

შესარჩევ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პირი სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხება სკოლის დეკანის წარდგინებით, სდასუ-ს რექტორის ბრძანებით.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად.

პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია ასევე მობილობით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები აღწერილია ასევე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით.

რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამით ან პროგრამის დანართით (მიღების დოკუმენტით) პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და მიღების პროცედურების გარდა დეტალურად აღიწეროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებზე აპლიკანტთა შეფასების სისტემაც (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).

ამასთან, სასურველია „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დეტალურად განისაზღვროს მიმღები (დარგობრივი) კომისიის მუშაობის წესიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- <https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/06/25/ca854ed89ad02052ad2a7865ad29231b.pdf>
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამით ან პროგრამის დანართით (მიღების დოკუმენტით) პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და მიღების პროცედურების გარდა დეტალურად აღიწეროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებზე აპლიკანტთა შეფასების სისტემაც (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უსდ-მ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დააზუსტოს B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატები და ქულები;
- სასურველია, პროგრამას თან ახლდეს პროგრამაზე მიღების დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობებისა და შეფასების სისტემის შესახებ. მიღების დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მიღების პროცედურები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების პროცესებსა და პროცედურებს.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამის მიზანს, პროგრამის სწავლის შედეგებს, სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკას, სადოქტორო პროგრამის მოცულობას კრედიტებით, სწავლება-სწავლის მეთოდებს, შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროს, პროგრამის განხორციელების მატერიალურ რესურსს, სადოქტორო პროგრამის განხორციელების ადამიანურ რესურსს, ასევე სადოქტორო პროგრამის განხორციელების ფინანსურ უზრუნველყოფას. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულები.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტის მოცულობა შეადგენს 45 ECTS კრედიტს. ამდენად, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ხოლო მისი ხანგრძლივობა და სასწავლო კომპონენტის მოცულობა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს და წარმოდგენილია სავალდებულო (35 კრედიტი) და არჩევითი ელემენტებისაგან (10 კრედიტი).

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი სავალდებულო ელემენტებია:

- აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები - 5 ECTS;
- კვლევითი უნარების სემინარი (1) – 15 ECTS;
- კვლევითი უნარების სემინარი (2) – 15 ECTS.

აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების სასწავლო კომპონენტის მიზანია დოქტორანტისათვის სამეცნიერო ნაშრომის შინაარსობრივი მოთხოვნების და ტექნიკური სტანდარტების სწავლება, რაც კომბინირებულია კვლევის თანამედროვე მეთოდების სწავლებასთან. კურსი ემსახურება მკვლევარის კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის უნარის განვითარებას.

კვლევითი უნარების პირველი სემინარის მიზანია დოქტორანტისათვის აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბება. სემინარის თემის შერჩევა ხდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით. სემინარი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელი ნაწილი. სემინარის განმავლობაში დოქტორანტი ეცნობა რელევანტურ ლიტერატურას. სემინარი სრულდება სასემინარო ნაშრომის შესრულებით, რომელსაც აფასებს დარგობრივი კომისია.

კვლევითი უნარების მეორე სემინარის ფარგლებში ხდება დოქტორანტის კვლევის უნარების განვითარება და სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად სადისერტაციო ნაშრომის მონახაზზე მუშაობა. სემინარის განმავლობაში დოქტორანტი ეცნობა რელევანტურ ლიტერატურას, ხდება სადისერტაციო კვლევის აქცენტების განსაზღვრა. კურსი სრულდება შესრულებული ნაშრომით - პროსპექტუსით, რაც ფასდება დარგობრივი კომისიის მიერ.

პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებია:

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში - 5 ECTS; მეცნიერების მენეჯმენტი - 5 ECTS;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 ECTS;
- პროფესორის ასისტენტობა - 5 ECTS.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების შერჩევა ხდება სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტირებით, დოქტორანტის საჭიროებების გათვალისწინებით.

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სასწავლო კურსებს, კვლევითი უნარების ორ სემინარს და პროფესორის ასისტენტობას.

პროგრამა განსაზღვრავს სტუდენტების მოსალოდნელ სასწავლო დატვირთვას ECTS-ის კრედიტებით. პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების/აქტივობების მოცულობა წარმოდგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ელემენტებისათვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა მთლიანობაში კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი

თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკა გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და მის საჯარო დაცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მოითხოვს დახვეწას და სწავლების სადოქტორო საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანას. პროგრამის შინაარსი სრულად არ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადო დონეზე მიღწევას.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტების ერთობლიობა (რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში) სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს სამართლის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის შექმნას და მოითხოვს გადახედვას.

სავალდებულო სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ (6 ECTS) ისწავლება სამაგისტრო საფეხურზე. ამიტომ აღნიშნული კურსის სადოქტორო საფეხურზე შეთავაზება, თუნდაც გარკვეულწილად მოდიფიცირებული სახით, არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

რეკომენდებულია სადოქტორო საფეხურზე დოქტორანტებს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“-ს ნაცვლად სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ სამართლის დოქტორანტებისთვის რელევანტური სასწავლო კურსი „იურიდიული კვლევის მეთოდები“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას იურიდიული კვლევის ამოცანების, სახეების, ბუნების, მიზნის, იურიდიული კვლევის ძირითადი ეტაპების, დოქტრინული და არადოქტრინული იურიდიული კვლევის მიზნებისა და ძირითად ხერხების, იურიდიული კვლევის მოდელების, იურიდიული კვლევის თანამედროვე ტენდენციების, ჰიპოთეზის წყაროების, კვლევის დიზაინის სახეების და ა.შ. შესახებ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ თემატიკაზე არაერთი სახელმძღვანელოა გამოცემული ინგლისურ ენაზე.

რეკომენდებულია სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ მხოლოდ იმ დოქტორანტებს, რომლებსაც აღნიშნული სასწავლო კურსი არა აქვთ გავლილი სამაგისტრო საფეხურზე.

გადახედვას საჭიროებს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტების - კვლევითი უნარების სემინარების შინაარსიც. კვლევითი უნარების სემინარები მიმართული უნდა იყოს სამართლის კონკრეტული დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის შექმნაზე. ისინი უნდა გამოუმუშავებდნენ დოქტორანტს პრობლემატური საკითხების გაცნობიერების, პრობლემის სწორად და ეფექტურად გადაწყვეტის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავების (გამოყენების), საკითხის კრიტიკული გააზრებისა და ინოვაციური მეთოდებით დამუშავების, აგრეთვე თემატურ დისკუსიაში დასაბუთებულად ჩართვის უნარს.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევითი უნარების მეორე სემინარის ფარგლებში კი არ ხდება დოქტორანტის მიერ ახალი ცოდნის გენერირება, არამედ ხდება დოქტორანტის კვლევის უნარების განვითარება და სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად სადისერტაციო ნაშრომის მონახაზზე მუშაობა. სემინარის განმავლობაში დოქტორანტი ეცნობა რელევანტურ ლიტერატურას, ხდება სადისერტაციო კვლევის აქცენტების განსაზღვრა. კურსი სრულდება შესრულებული ნაშრომით - პროსპექტუსით (ანუ სადისერტაციო ნაშრომის კვლევის პროექტით), რაც ფაქტობრივად საგანმანათლებლო პროგრამის არა სასწავლო, არამედ კვლევითი კომპონენტის შემადგენელი ნაწილია.

რეკომენდებულია, კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში დოქტორანტს მიეცეს შესაძლებლობა შეისწავლოს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების უახლეს მიღწევები, რაც მას არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას მისცემს. ამასთან, უნდა გამოირიცხოს კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის რომელიმე ნაწილის, მათ შორის, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის პროექტის (პროსპექტუსის) შესრულება, ვინაიდან დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

გადახედვას საჭიროებს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიც. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნულია, რომ სამართლის დოქტორი უფლებამოსილია დასაქმდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უმუშავებდეს დოქტორანტს სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით, საუნივერსიტეტო განათლებაში მონაწილეობის უნარს.

რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ გადატანილი იქნეს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში, რათა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ითვალისწინებდეს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული სასწავლო კურსი) არ არის თანმიმდევრულად და სტრუქტურულად დალაგებულიც. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მთელ რიგ შემთხვევებში მოითხოვს დაზუსტებას.

რეკომენდებულია, კვლევითი სემინარების დაშვების წინაპირობას წარმოადგენდეს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, ხოლო პროფესორის ასისტენტობის დაშვების წინაპირობას - სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებლები, რაც დასტურდება შესაბამისი კითხვარებით, ოქმებით, მიმოწერით და სხვა დოკუმენტებით.

უსდ-ბა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის გამოყენებულია უნივერსიტეტის ვებგვერდი. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად ასევე ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო თუ საორიენტაციო შეხვედრები როგორც აბიტურიენტებთან, ასევე ახლად ჩარიცხულ სტუდენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სასწავლო კურსებისა და სხვა აქტივობების სილაბუსები;

- კურიკულუმის რუკა;
- უსდ-ის ვებგვერდი <https://sdasu.edu.ge>;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები (შესაბამისი კითხვარები, ოქმები, მიმოწერ და სხვა დოკუმენტები);
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სადოქტორო საფეხურზე დოქტორანტებს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“-ს ნაცვლად სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ სამართლის დოქტორანტებისთვის რელევანტური სასწავლო კურსი „იურიდიული კვლევის მეთოდები“ (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ თემატიკაზე არაერთი სახელმძღვანელოა გამოცემული ინგლისურ ენაზე), რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეიძენს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას იურიდიული კვლევის ამოცანების, სახეების, ბუნების, მიზნის, იურიდიული კვლევის ძირითადი ეტაპების, დოქტრინული და არადოქტრინული იურიდიული კვლევის მიზნებისა და ძირითად ხერხების, იურიდიული კვლევის მოდელების, იურიდიული კვლევის თანამედროვე ტენდენციების, ჰიპოთეზის წყაროების, კვლევის დიზაინის სახეების და ა.შ. შესახებ;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსი კურსის „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ სავალდებულო კომპონენტის სახით შეეთავაზოთ მხოლოდ იმ დოქტორანტებს, რომლებსაც აღნიშნული სასწავლო კურსი არა აქვთ გავლილი სამაგისტრო საფეხურზე;
- რეკომენდებულია, კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში დოქტორანტს მიეცეს შესაძლებლობა შეისწავლოს ეროვნული და უცხოური სამართლის, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების უახლეს მიღწევები, რაც მას არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას მისცემს. ამასთან, უნდა გამოირიცხოს კვლევითი უნარების სემინარების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის რომელიმე ნაწილის, მათ შორის, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის პროექტის (პროსპექტუსის) შესრულება, ვინაიდან დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით);
- რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ გადატანილი იქნას სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში, რათა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ითვალისწინებდეს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.
- რეკომენდებულია, კვლევითი სემინარების დაშვების წინაპირობას წარმოადგენდეს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, ხოლო პროფესორის ასისტენტობის დაშვების წინაპირობას - სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.3. სასწავლო კურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო კურსები და სხვა სასწავლო აქტივობები წარმოადგენენ.</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების ერთობლიობა გარკვეულწილად მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი სტუდენტს მოეთხოვება სადოქტორო საფეხურზე სწავლის დასრულებისას, თუმცა მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში მოითხოვს სრულყოფას.</p> <p>სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად უსდ-ის მიერ გამოყენებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა ამა თუ იმ სასწავლო კურსით/სხვა სასწავლო აქტივობით.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებზე დაყრდნობით სწავლის შედეგების რუკაში იდენტიფიცირებულია ის სასწავლო კურსები/სხვა სასწავლო აქტივობები, რომელთა სწავლის შედეგების ერთობლიობა ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს. ასეთ სასწავლო კურსებს/აქტივობებს განეკუთვნება: სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, კვლევითი კვლევითი უნარების სემინარი (1) და კვლევითი უნარების სემინარი (2).</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სწავლის შედეგების ერთობლიობა მთლიანობაში ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ყველა სწავლის შედეგების</p>

მიღწევას. მაგალითად, პროგრამის სწავლის მე-9 შედეგის თანახმად, დოქტორანტი „პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით ახორციელებს პრაქტიკულ შრომით საქმიანობას საკუთარი და დაქვემდებარებული პირების პასუხისმგებლობის გააზრებით“. ამასთან, სწავლის შედეგების რუკაში აღნიშნულია, რომ ეს სწავლის შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსით „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“, ასევე კვლევითი კვლევითი უნარების პირველი და მეორე სემინარებით, რაც არარეალისტურია. რეკომენდირებულია, ზემოაღნიშნული სწავლის შედეგის მისაღწევად უსდ-მ გამოიყენოს სხვა რელევანტური სასწავლო კურსები/აქტივობები (მაგალითად, სასწავლო აქტივობა „პროფესორის ასისტენტობა და სხვა“).

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები არ შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოქტორანტურის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს. მაგალითად, სასწავლო კურსის „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში“ მიზნები, სწავლის შედეგები და თემატიკა არ შეესაბამება სადოქტორო საფეხურს და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით სასწავლო კურსით გათვალისწინებულ უნარებს სტუდენტი უნდა გამოიმუშავებდეს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე.

რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ისეთ სასწავლო კურსებს/სხვა სასწავლო აქტივობებს, რომლებიც შეძენენ დოქტორანტს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას, რაც საშუალებას მისცემს მას არა მხოლოდ გაიფართოვოს საკუთარი ცოდნის არეალი, არამედ შეძლოს კიდევ ინოვაციური მეთოდების გამოყენება, ასევე საკითხის სისტემური და კრიტიკული ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებში, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მთლიანობაში შეესაბამება ამ სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სწავლის შედეგებს, თუმცა, რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და დააზუსტოს სასწავლო აქტივობის - პროფესორის ასისტენტობის კრედიტების რაოდენობა, კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტის მიერ შესასრულებელი დავალებების მოცულობის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსისათვის/სხვა სასწავლო აქტივობისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ითვალისწინებს როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ძირითადად ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების მოცულობა ასევე ითვალისწინებს კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობასა და სირთულეს. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები გაზომვადია, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა სწავლის შედეგი ფასდება. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად კურსის სილაბუსში

განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი შეფასების რუბრიკაში. სასწავლო კურსის სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული ზოგადი ინსტრუქციებისა და რეგულაციების შესაბამისად.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა: ნორმატიული აქტები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, ავთენტური წყაროები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ელექტრონულ რესურსები და სხვ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად ეფუძნება სამართლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა არ შეესაბამება სადოქტორო საფეხურს. მაგალითად, სასწავლო კურსში „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ სავალდებულო ლიტერატურის სახით გათვალისწინებულია ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც უსდ-ის მიერ ფართოდ გამოიყენება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე აკადემიური წერის სწავლებისას, კერძოდ: თ. ქავთარაძის, ნ. ქასრაშვილის, ნ. საღინაძის, ს. პატარიძის, თ. საბაურის, აკადემიური მუშაობის საფუძვლები: პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, თბილისი 2018; ზ. მეიშვილის, ლ. კალანდაძის, ნ. გიგაშვილის, გ. ნონიაშვილის, ს. წაქაძის, გ. ჩიფჩიურის, სამართლებრივი წერა, თბ., 2017; ლ. კაჭარავას, ხ. მარწყვიშვილის, ლ. ხეჩუაშვილის, აკადემიური წერა დამწყებთათვის, თბილისი 2007; რ. ციპელიუსის, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, 2006; ლ. წულაძის, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, თბ., 2008; თ. ზურაბიშვილის, თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბ., 2006.

რეკომენდებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროებისა და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე. ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სასწავლო კურსის სახელწოდება, სასწავლო კურსის განმახორციელებლები, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სამაგის სისტემა, სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებიც ითვალისწინებენ სწავლის შედეგების შეფასების სისტემას;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა <http://emis.sdasu.edu.ge/index.php>
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის მე-9 სწავლის შედეგის მისაღწევად უსდ-მ გამოიყენოს სხვა რელევანტური სასწავლო კურსები/აქტივობები; • რეკომენდირებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ისეთ სასწავლო კურსებს/სხვა სასწავლო აქტივობებს, რომლებიც შეძენენ დოქტორანტს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას, რაც საშუალებას მისცემს მას არა მხოლოდ გაიფართოვოს საკუთარი ცოდნის არეალი, არამედ შეძლოს კიდევ ინოვაციური მეთოდების გამოყენება, ასევე საკითხის სისტემური და კრიტიკული ანალიზი; • რეკომენდირებულია, უსდ-მ გადახედოს და დააზუსტოს სასწავლო აქტივობის - პროფესორის ასისტენტობის კრედიტების რაოდენობა, კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტის მიერ შესასრულებელი დავალებების მოცულობის გათვალისწინებით; • რეკომენდირებულია, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროებისა და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე. ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო აქტივობის - პროფესორის ასისტენტობის სახით (5 ECTS), სადაც სტუდენტი ატარებს ლექციების, პრაქტიკულებს, სემინარებს, კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, ადგენს საგამოცდო დავალებებს, ასწორებს სტუდენტთა ნაშრომებს და სხვა.

ვინაიდან პროფესორის ასისტენტობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტია და იგი არ მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში, თავისთავად საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად (იხ. საგანმანათლებლო პროგრამის მე-9 სწავლის შედეგი), ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. შესაბამისად, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი არ არის ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

იმისათვის, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფდეს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, რეკომენდებულია, პროფესორის ასისტენტება სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან გადატანილი იქნეს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში.

პროფესორის ასისტენტობის სილაბუსი დეტალურად აღწერს სასწავლო აქტივობის მიზანს, სწავლის შედეგებს, სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების სისტემას და ასისტირების პროცესს.

იმისათვის, რომ პროფესორის ასისტენტობის პროცესი იყოს ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადია, როგორც დოქტორანტებისთვის, ასევე შესაბამისი სასწავლო აქტივობის განმახორციელებლისთვის, რეკომენდებულია პროფესორის ასისტენტობის სილაბუსი ან თანდართული დოკუმენტები ითვალისწინებდეს პროფესორის ასისტენტობის გეგმას, რაც გულისხმობს ყოველკვირეულად განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, ასისტირებასთან დაკავშირებული დავალებების ინსტრუქციას და სხვ.

პროფესორის ასისტენტობის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლების პროცესებთან დაკავშირებული დოქტორანტის პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც ქმნის წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.

პროფესორის ასისტენტობა შედგება საკონტაქტო (ლექციების, პრაქტიკულების, სემინარების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სტუდენტთა ნაშრომების (დავალებების) გასწორება და სხვა) და დამოუკიდებელი მუშაობის საათებისაგან

(ლექციისთვის, პრაქტიკულისთვის, სემინარისთვის, კონსულტირებისთვის მზადება, საგამოცდო დავალებების შედგენა და სხვა).

დოქტორანტი თავის ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად გეგმავს ასისტირების პროცესს შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელთან, სკოლის დეკანთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

აღნიშნული სასწავლო აქტივობის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი:

- ეფექტიანად გეგმავს და წარმართავს აკადემიურ პროცესს;
- არჩევს და იყენებს სწავლების სწორ სტრატეგიას;
- ახდენს მასალის ანალიზსა და სინთეზს, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადასცემს ინფორმაციას აუდიტორიას;
- ამზადებს ლექციასა და სემინარებს და ახდენს მათ პრეზენტირებას;
- გეგმავს აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებებს;
- ხელს უწყობს სასწავლო პროცესში სტუდენტის მოტივირებასა და პიროვნულ განვითარებას, და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში მის ინტეგრაციას.

სასწავლო აქტივობის - პროფესორის ასისტენტობის შეფასების ფორმებია - შუალედური შეფასება (მაქს. 60 ქულა) და დასკვნითი შეფასება (მაქს. 40 ქულა). შუალედური შეფასების ფარგლებში ფასდება დოქტორანტის მიერ სალექციო თემის მომზადება და ლექციის წაკითხვა, ჯგუფთან მუშაობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების, ტესტების და სხვ. მომზადება, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, სტუდენტთათვის კონსულტაციის გაწევა. დოქტორანტის შუალედურ შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სასწავლო აქტივობის განმახორციელებელი. დასკვნით შეფასების ფარგლებში დოქტორანტი ატარებს საჩვენებელ ლექციას, რომელსაც აფასებს კომისია (დოქტორანტის ხელმძღვანელ(ებ)ი, სასწავლო კურსის/კომპონენტის განმახორციელებელი, რომელსაც ასისტირებას უწევდა დოქტორანტი, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი).

პროფესორის ასისტენტობის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი სასწავლო აქტივობის სილაბუსში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია კვლევაზე. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დამოუკიდებელ მკვლევარად ჩამოყალიბებას. სადოქტორო პროგრამაში კვლევით კომპონენტი წარმოადგენილია სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და მისი საჯარო დაცვით.

„სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შესარჩევი კონკურსის დაძლევის შემდეგ, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში სკოლის სადისერტაციო საბჭო იხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო თემას და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს.

სადისერტაციო თემის და სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით დგება დოქტორანტის ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო.

დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმაში აისახება სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შემადგენლობა,

დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტების დასაძლევად შესასრულებელი სამუშაოს (კრედიტების მოპოვების) სემესტრების მიხედვით გაწერილი სავარაუდო გრაფიკი, აგრეთვე განსახორციელებელი სადისერტაციო კვლევის მიზნები და ამოცანები, სადისერტაციო თემის აქტუალობა, ჰიპოთეზა, სიახლე და მნიშვნელობა, სავარაუდო შედეგები, ნაშრომის სტრუქტურა და შესრულების სავარაუდო გრაფიკი.

„სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ განსაზღვრულია დისერტაციისთვის წაყენებული მოთხოვნები, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტის მოცულობა (არ უნდა იყოს 150 გვერდზე ნაკლები და 210 გვერდზე მეტი), სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემები, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, ოპონენტების ვალდებულებები, სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურები, ასევე სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი.

უსდ-ში, სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, 2016 წლიდან დღემდე დაცულია მხოლოდ ერთი სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში“ (დოქტორანტი მ. ქ., სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი მ. მ.), შეფასებით - 75 ქულა (cum laude).

დასკვნითი სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების შემაჯამებელი მტკიცებულებაა. სადისერტაციო ნაშრომში აკუმულირებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასებისთვის ექსპერტების მიერ გაანალიზდა დაცული სადისერტაციო ნაშრომი და მისი შეფასების შედეგები.

სადისერტაციო ნაშრომის ანალიზმა ცხადყო, რომ შესრულებული და დაცული სადისერტაციო ნაშრომი მთლიანობაში შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მის საბოლოო შეფასებას. კვლევის წარმოებისას დოქტორანტის მიერ გამოყენებულია უახლესი მეთოდები და მიდგომები, ნორმატიული მასალასთან, დამხმარე სახელმძღვანელოებთან, სასამართლო პრაქტიკასთან ერთად გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა და სამართლის თანამედროვე აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებული კვლევები, სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, მიღებული ინფორმაცია.

სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას დოქტორანტს ხელმძღვანელობას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს სდასუ-ს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი ანუ როგორც სდასუ-ს სამართლის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, ასევე სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირიც. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტს ხელმძღვანელით.

სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, მაღალი კომპეტენციის, უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც ექნება სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან შესაბამისი კვლევის გამოცდილება და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი.

სასურველია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს არა სდასუ-ს სამართლის სკოლის ნებისმიერი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, არამედ მხოლოდ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სდასუ-ს სამართლის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი.

„სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“ თანახმად, სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია:

- ზედამხედველობა გაუწიოს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმის შედგენას და შესრულებას;
- აკონტროლოს კვლევის მიმდინარეობა და ხარისხი;
- დაეხმაროს დოქტორანტს კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში;
- აუხსნას დოქტორანტს სამეცნიერო შედეგებისა და სამეცნიერო ლიტერატურული წყაროების გამოყენების წესი, კორექტული ციტირების პრინციპები, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები და მათი დარღვევით გამოწვეული შესაძლო შედეგები;
- გაუწიოს დოქტორანტს რეგულარული კონსულტაციები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის, კვლევის შედეგების წარდგენის, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების და სხვ. საკითხებში;
- პერიოდულად შეაფასოს დოქტორანტის პროგრესი, რისთვისაც დოქტორანტის ყოველ სემესტრულ ანგარიშს განხორციელებული კვლევის შესახებ დარგობრივი კომისიის წინაშე, დაერთვება ხელმძღვანელის წერილობითი შეფასება.

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“ თანახმად, დისერტაციის წარდგენის წინაპირობაა:

- დოქტორანტის მიერ რეგულარულად სამეცნიერო პერიოდიკაში (მათ შორის, ერთ რეფერირებად სამეცნიერო გამოცემაში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში) დისერტაციის თემატიკის შესაბამისი სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება;
- დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული პრობლემატიკით დოქტორანტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობა.

ამასთან, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ არ იკვეთება უსდ-ის დოქტორანტს რა ფორმით უწყობს ხელს სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობაში, მაშინ როდესაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში.

რეკომენდებულია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აისახოს დოქტორანტის ხელშეწყობი

საუნივერსიტეტო მექანიზმები. ამასთან, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში დოქტორანტის ინტეგრაციის მიზნით, რეკომენდებულია დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციები უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამასთან, ამავე მიზნით დოქტორანტმა ერთი პუბლიკაცია მაინც უნდა გამოაქვეყნოს არა ზოგადად რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, არამედ ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა სამეცნიერო კლუბი. სამეცნიერო კლუბის მიზანია სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზებასა და მუშაობაში სტუდენტთა როლის გაზრდა, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დამყარებულ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო აქტივობაში სტუდენტთა მონაწილეობა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კლუბი შეიმუშავებს და ახორციელებს სტუდენტურ სამეცნიერო პროექტებს, თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის - პროფესიულ გაერთიანებებთან, ეწევა სამეცნიერო და საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობას და საზოგადოების საინფორმაციო-შემეცნებით საქმიანობას და სხვა.

სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. კონფერენციის თეზისები უნივერსიტეტის მიერ იბეჭდება კრებულის სახით. სტუდენტურ კონფერენციებზე სტუდენტები წარმოადგენენ მოხსენებებს მათი ინტერესების სფეროში შემავალი სამართლის აქტუალური საკითხების შესახებ.

უსდ მხარს უჭერს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მათ მონაწილეობას. სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ა(ა)იპ - ახალგაზრდა სამეცნიერო გაერთიანებასთან, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან და სხვა.

უსდ-ს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რომელიც მიზნად ისახავს, მათ შორის სტუდენტების კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერას. სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი ითვალისწინებს კვლევით პროექტებს შორის, კონკურსის წესით, საუკეთესოთა გამოვლენას და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მათ დაფინანსებას.

უსდ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც დოქტორანტს აძლევს საშუალებას მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი.
- <https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/30/782c66b8c195a19a918648e63fbbb745.pdf>
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- იმისთვის, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფდეს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, რეკომენდებულია, პროფესორის ასისტენტება სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტებიდან გადატანილი იქნეს სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში;
- იმისათვის, რომ პროფესორის ასისტენტობის პროცესი იყოს ცხადი და თანმიმდევრულად აღქმადი, როგორც დოქტორანტებისთვის, ასევე შესაბამისი სასწავლო აქტივობის განმახორციელებლისთვის, რეკომენდებულია პროფესორის ასისტენტობის სილაბუსი ან თანდართული დოკუმენტები ითვალისწინებდეს პროფესორის ასისტენტობის გეგმას, რაც გულისხმობს ყოველკვირეულად განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, ასისტირებასთან დაკავშირებული დავალებების ინსტრუქციას და სხვ;
- რეკომენდებულია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აისახოს დოქტორანტის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო მექანიზმები. ამასთან, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში დოქტორანტის ინტეგრაციის მიზნით, რეკომენდებულია დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციები უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამასთან, ამავე მიზნით დოქტორანტმა ერთი პუბლიკაცია მაინც უნდა გამოაქვეყნოს არა ზოგადად რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში, არამედ ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, „სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს არა სდასუ-ს სამართლის სკოლის ნებისმიერი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, არამედ მხოლოდ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სდასუ-ს

სამართლის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს).</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც.</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად შეესაბამება სადოქტორო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული</p>

სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევას მთლიანობაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს.

შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა, სემინარი;
- ელექტრონული რესურსით სწავლება.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს მრავალფეროვან და თანამედროვე აქტივობებს. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი სწავლება-სწავლის პროცესში ითვალისწინებს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორიცაა: ვერბალური ახსნა-განმარტება, წერითი მუშაობა, დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში (Brain storming), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD), ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია, გუნდური მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში, როგორც წესი, გამოიყენება მეთოდების კომბინაცია. სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მიმართულია სასწავლო პროცესში დოქტორანტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსი ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდებს.

სასურველია, სადოქტორო საფეხურზე უფრო ინტენსიურად იქნეს გამოყენებული პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტს განიმტკიცოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

სწავლება-სწავლის მეთოდები ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

• მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა <http://emis.sdasu.edu.ge/index.php>

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, და კურსდამთავრებულთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, სადოქტორო საფეხურზე უფრო ინტენსიურად იქნეს გამოყენებული პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტს განიმტკიცოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება მოქმედ</p>

კანონმდებლობას, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება კი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.

შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასებები) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 31 ქულა (თუმცა სასწავლო კურსში „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში“ მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა). დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსში.

დოქტორანტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და მათ შესაფასებლად გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა დახურული კითხვა, პრაქტიკული დავალება, წინასწარ შერჩეული და ლექტორთან შეთანხმებული თემის პრეზენტაცია, ზეპირი გამოკითხვა, წერიტი გამოკითხვა - ესე (სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“), პრაქტიკული დავალების კომპიუტერზე გადაწყვეტა, ელექტრონული სასწავლო კურსის პრეზენტაცია (სასწავლო კურსი „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში“), თეორიული მასალის ვერბალური პრეზენტაცია, კონკრეტულ თემაზე პრეზენტაცია, მეცნიერის პროფილი - მითითებულ ბაზებზე სამეცნიერო პროფილის შექმნა, სამეცნიერო პროექტის განაცხადის მომზადება და მისი პრეზენტაცია, ტესტი, სამეცნიერო სტატიის მომზადება და მისი პრეზენტაცია (სასწავლო კურსი „მეცნიერების მენეჯმენტი“), ზეპირი გამოკითხვა, საცდელი ლექცია, თეორიულ საკითხი (სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“).

რეკომენდებულია, უსდ-მ სასწავლო კურსებში დოქტორანტთა შესაფასებლად დახურული კითხვების, თეორიულ საკითხების, ტესტების და ზეპირი გამოკითხვების ნაცვლად უფრო ფართოდ გამოიყენოს შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა ანალიტიკური რეფერატის, კვლევითი ნაშრომის/პროექტის, კვლევითი სტატიის მომზადება და მათი საჯარო პრეზენტაცია, კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

სასწავლო კურსის/სხვა სასწავლო აქტივობის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს დოქტორანტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ. ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ დოქტორანტები მიიღებენ დროულ და დეტალურ ინფორმაციას სასწავლო კომპონენტში მიღებული შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ. სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ იწარმოებს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტს გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა ცოდნის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა დასაბუთებული საჩივრით მიმართოს სამართლის სკოლის დეკანს სააპელაციო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მოთხოვნით. საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისია.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი - სადისერტაციო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი

დაასრულებს მასზე მუშობას. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია აირჩევა სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო თემის შესაბამისი სამართლის მიმართულების სპეციალისტებისაგან ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და წევრებისაგან. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 7 წევრისგან მაინც. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 2 წევრი უნდა იყოს სამართლის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენელი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელიც არ არის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი. სადისერტაციო კომისიაში გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობენ ოპონენტები.

სადისერტაციო კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სადისერტაციო კომისიის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3. გარდა სადისერტაციო კომისიის წევრებისა, სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას დისერტაციის შეფასების შესახებ იღებს ფარული წესით, უშუალოდ დაცვის შემდეგ დახურულ დასკვნით სხდომაზე. დისერტაცია დაცულად ჩაითვლება თუ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება შეადგენს 51 ქულას და მეტს.

ვინაიდან ოპონენტი იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, სადისერტაციო ნაშრომის ობიექტურად შეფასების მიზნით, რეკომენდებულია, სადისერტაციო კომისიაში და სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მსგავსად ასევე არ მონაწილეობდნენ ოპონენტები.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- *summa cum laude* - შეფასების 91-100 ქულა - ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც შეაქვს თვალსაჩინო წვლილი სფეროს განვითარებაში);
- *magna cum laude* - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა - ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სფეროს განვითარებაში);
- *cum laude* - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა - კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; შეაქვს წვლილი სფეროს განვითარებაში);
- *Bene* - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა - საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; შეაქვს წვლილი დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში);
- *Rite* - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა - დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; შეაქვს გარკვეული წვლილი სფეროს განვითარებაში).

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- *Insufficienter* - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა - არადამაკმაყოფილებელი (ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო).;

- *sub omni canone* - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (ნაშრომი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს).

არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

რეკომენდებულია, უსდ-მ შეისწავლოს, როგორც ეროვნული, ასევე უცხოური პრაქტიკა და შეიმუშავოს გასაჩივრების სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი ისეთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დოქტორანტს გასაჩივროს არა მხოლოდ სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება, არამედ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევაც.

ინფორმაცია სამართლის სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტების შეფასების სისტემის შესახებ ასახულია, როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“, რაც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის. სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“ დეტალურად აღწერს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს.

სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“ ითვალისწინებს ეტაპობრივ და თანმიმდევრულ პროცესებს, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის ხელმძღვანელის მხრიდან პერიოდული უკუკავშირის მიწოდებას.

ამასთან, დოქტორანტურაში სწავლის პროცესში პროგრესის შეფასების მიზნით, დოქტორანტი ყოველ სემესტრულად წარსდგება სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერით დადასტურებული ანგარიშით კვლევითი კომპონენტის შესრულების შესახებ.

იმისათვის, რომ სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ყოველ სემესტრული ანგარიშის წარდგენის პროცედურა იყოს ცხადი, როგორც დოქტორანტისათვის, ასევე სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წევრებისათვის, რეკომენდებულია, სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აღიწეროს როგორც სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის ფორმირების წესი, ასევე დოქტორანტის ყოველ სემესტრული ანგარიშისადმი წაყენებული მოთხოვნები (მოცულობა, შინაარსი და ა. შ.). სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ ასევე უნდა დაზუსტდეს განმავითარებელი შეფასების ფარგლებში დოქტორანტი მიიღებს თუ არა დარგობრივი კომისიისაგან შენიშვნებსა თუ რეკომენდაციებს და მათი გათვალისწინება სავალდებულო იქნება თუ არა დოქტორანტისთვის დისერტაციის წარდგენამდე.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა იყოს საჯარო. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება უნდა ჰქონდეს დაესწროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვას და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, აღნიშნული ჩანაწერი აისახოს სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე სამართლის სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები;
- უსდ-ს სამართლის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/06/25/ca854ed89ad02052ad2a7865ad29231b.pdf>;
- სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“;
- სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა
<http://emis.sdasu.edu.ge/index.php>
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- უსდ-ის ვებგვერდი <https://sdasu.edu.ge>;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და კურსდამთავრებულთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უსდ-მ სასწავლო კურსებში დოქტორანტთა შესაფასებლად დახურული კითხვების, თეორიულ საკითხების, ტესტების და ზეპირი გამოკითხვების ნაცვლად უფრო ფართოდ გამოიყენოს შეფასების ისეთი მეთოდები, როგორცაა ანალიტიკური რეფერატის, კვლევითი ნაშრომის/პროექტის, კვლევითი სტატიის მომზადება და მათი საჯარო პრეზენტაცია, კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით;
- ვინაიდან ოპონენტი იღებს წინასწარ გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან დისერტაციის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შესახებ, სადისერტაციო ნაშრომის ობიექტურად შეფასების მიზნით, რეკომენდებულია, სადისერტაციო კომისიაში და სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მსგავსად ასევე არ მონაწილეობდნენ ოპონენტები;
- რეკომენდებულია, უსდ-მ შეისწავლოს, როგორც ეროვნული, ასევე უცხოური პრაქტიკა და შეიმუშავოს გასაჩივრების სამართლიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი ისეთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს დოქტორანტს გაასაჩივროს არა მხოლოდ

<p>სადისერტაციო კომისიის საბოლოო შეფასება, არამედ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევაც;</p> <ul style="list-style-type: none"> • იმისათვის, რომ სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ყოველ შემესტრული ანგარიშის წარდგენის პროცედურა იყოს ცხადი, როგორც დოქტორანტისათვის, ასევე სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წევრებისათვის, რეკომენდებულია, სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“ დეტალურად აღიწეროს როგორც სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის ფორმირების წესი, ასევე დოქტორანტის ყოველ შემესტრული ანგარიშისადმი წაყენებული მოთხოვნები (მოცულობა, შინაარსი და ა.შ.). სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ ასევე უნდა დაზუსტდეს განმავითარებელი შეფასების ფარგლებში დოქტორანტი მიიღებს თუ არა დარგობრივი კომისიისაგან შენიშვნებსა თუ რეკომენდაციებს და მათი გათვალისწინება სავალდებულო იქნება თუ არა დოქტორანტისთვის დისერტაციის წარდგენამდე. • სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა იყოს საჯარო. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება უნდა ჰქონდეს დაესწროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვას და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, აღნიშნული ჩანაწერი აისახოს სამართლის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში“.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			√	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში „უსდ“) ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე სტუდენტების ინფორმირებულობას.

სამართლის სადოქტორო პროგრამაზე შემუშავებულია „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“, რომლის 6.2 მუხლის თანახმად, სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის. ამავე დებულების 12.4 მუხლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის შესახებ; სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, კონსულტაციას უწევს დოქტორანტს ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმის შედგენაში; მოგახსენებთ, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამას ამ ეტაპზე არ ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, შესაბამისად მოქმედ სტუდენტებთან გასაუბრება არ განხორციელებულა.

ექსპერტთა ჯგუფს ონლაინ შეხვედრის საშუალება ჰქონდა სადოქტორო პროგრამის ერთადერთ კურსდამთავრებულთან, რომელმაც დადებითად შეაფასა უსდ-ს პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელის როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. მისი თქმით, პროგრამის ხელმძღვანელი და უსდ-ს პერსონალი გამორჩეულ მხარდაჭერას უწევდა მას სადისერტაციო ნაშრომის შექმნის პროცესში, რაც გამოიხატა ელექტრონული ბიბლიოთეკის ათვისებასა და მასალების გადაგზავნაში.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა მოიცავს შეტყობინებისა და განცხადების მიღების საშუალებას. პლატფორმა გახლავთ მოქნილი და ორიენტირებულია სტუდენტის საჭიროებებზე. ელექტრონული პლატფორმა EMIS.SDADU.EDU.GE უზრუნველყოფს მარტივად სტუდენტების ინფორმირებულობას მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-3.ქ ქვეუპუნქტის თანახმად, წინამდებარე სამსახურის ამოცანაა: სტუდენტების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის დინამიკის, მოთხოვნებისა და მოსალოდნელი პროგნოზების თაობაზე და კონსულტაციების გაწევა მათთვის პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე; უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმა არ მოიცავს სტუდენტის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ სტრატეგიას. გასაუბრების ფარგლებში კითხვა დაისვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის განმარტებით ისინი აპირებენ დარგში რეალიზებული კადრების/დოქტორანტების მიღებას და ამ მიმართულებით ბუნდოვანია მათი სტრატეგია.

ვებ-საიტის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული. პირობითი აკრედიტაციის ფარგლებში, სადოქტორო პროგრამის შესახებ საჯარო ინფორმაციის განთავსება არ მომხდარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების ანგარიში;
2. ვებ საიტის sdasu.edu.ge დათვალიერება;
3. ინტერვიუ კურსდამთავრებულთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ა.შ;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახურის დებულება;
5. „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“;
6. საინფორმაციო პლატფორმა emis.sdasu.edu.ge

რეკომენდაციები:

1. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ხელშეწყობის ეფექტური სტრატეგია.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოფს სამართლის სადოქტორო პროგრამის ვებ-საიტზე განთავსება, რის შედეგადაც სტუდენტებს მიეცემათ პროგრამის გაცნობის საშუალება.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ს სამართლის სკოლას შემუშავებული აქვს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, რომელიც არეგულირებს ხელმძღვანელის ფუნქციონირებას. 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, მაღალი კომპეტენციის, უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი,</p>

რომელსაც ექნება სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან შესაბამისი კვლევის გამოცდილება და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი. 21.2 მუხლის თანახმად კი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სდასუ-ს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

ამავე დებულების 4.2 მუხლის თანახმად, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირები. მოცემული დანაწესის თანახმად, უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილი სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაძლებელია არ იყოს აკადემიური პერსონალი. ამასთანავე, 21-ე მუხლი არის ზოგადი და საჭიროებს კონკრეტიკას, კერძოდ რა მოთხოვნებს უყენებს უნივერსიტეტი სამეცნიერო ხელმძღვანელს, იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაისვა საკითხი აღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით სამეცნიერო ხელმძღვანელი აუცილებლად აკადემიური პერსონალის ნაწილია და ის, ძირითადად დაკომპლექტებულია პროფესორებით.

სამეცნიერო ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა მათი მხარდაჭერა დოქტორანტების მიმართ. აღსანიშნავია, რომ დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური კვლევის განხორციელებისას უშუალო ხელმძღვანელის მიერ განხორციელდა გერმანულ ენაზე სასამართლო პრაქტიკის გამოთხოვა.

სამეცნიერო ხელმძღვანელები გამოირჩევიან გულისხმიერებითა და მზაობით, კეთილსინდისიერად გაუწიონ კონსულტაციები დოქტორანტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების ანგარიში;
2. ვებ საიტის sdasu.edu.ge დათვალიერება;
3. ინტერვიუ კურსდამთავრებულთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ა.შ;
4. „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სამეცნიერო ხელმძღვანელი იყოს აკადემიური პერსონალი, თანახელმძღვანელის შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეული პერსონალის არჩევა. აღნიშნული დაეხმარება დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის

განხორციელებასა და პროგრამის დასრულებაში, შესაბამისად, დებულებაში დასაზუსტებელია სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის წესი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. უსდ-მ უზრუნველყოს ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურისა და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების კონკრეტული და ბუნდოვანი ნორმების აღმოფხვრა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ პროგრამის განხორციელების პროცესში ჩაბმულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია 22 პირი, საიდანაც 11 არის აკადემიური პერსონალი (11 პროფესორი - (6 აფილირებული), 9 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ-პროფესორი). პროფესორები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესის განხორციელებაში. მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 1 -ს. აკადემიურ და მოწვეულ პირთა შორის ბალანსი (22/1) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

○ გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში უსდ-ში სამართლის სკოლის ყველა პროგრამაზე შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა. 2017 წლიდან აღნიშნული პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე. შესაბამისად, სტუდენტები სავალდებულო მობილობის ფარგლებში გადავიდნენ სხვა უსდ-ში. პროგრამას ბოლო წლების განმავლობაში არ ყავს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტი. უსდ-ს

წარმომადგენლის განცხადებით ამ პროგრამის განხორციელება უნდა მოხდეს სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პირების მონაწილეობით.

○ II. აკადემიური პერსონალი შერჩევა ღია კონკურსის წესით და თანამდებობაზე აირჩევა შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამეცნიერო კვლევების მქონე პირი, ხოლო მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება მათი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და სამეცნიერო აქტივობის შესაბამისად. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დადგენილია პერსონალის შერჩევის პროცედურა და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური დოკუმენტი. შერჩეულ პერსონალს გააჩნია სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი კომპეტენცია.

○ აღნიშნულის მიუხედავად, უსდ-ს აკადემიური პერსონალის მიმართ გააჩნია „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ კონტრაქტები. „ა“ და „ბ“ კონტრაქტები იდება აფილირებულ პერსონალთან. „ა“ ტიპს ხელშეკრულება იდეა, აფილირებულ პერსონალთან, რომელიც ჩართულია, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო საქმიანობაში. ხელშეკრულების შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობა ხორციელდება უსდ-ს სახელით. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ვალდებულებები. „პერსონალი „სდასუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში; სდასუ-ში ახორციელებს ძირითად სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; მისი სამეცნიერო პუბლიკაციები(სტატიები / წიგნები/ მონოგრაფიები, სამეცნიერო კონფერენციის მასალები და ა.შ.) ქვეყნდება სდასუს სახელით; აქტიურად არის ჩართულნი სდასუ-ში სასწავლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამავე ხელშეკრულების 1.3 პუნქტის მიხედვით, სასწავლო საქმიანობა გულისხმობს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას, მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების პროცესებში; სააუდიტორიო დატვირთვას, სასწავლო/საგამოცდო მასალების მომზადებას, ნაშრომების შემოწმებას, სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება-განახლებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, სტუდენტების უზრუნველყოფას თანამედროვე სასწავლო რესურსებით (სახელმძღვანელო, საკითხავი მასალა და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზირებას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელობას; სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საკითხებთან დაკავშირებით, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას და სხვა აქტივობებს, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. ამავე ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა გულისხმობს სამეცნიერო კვლევების, საგრანტო პროექტების

მომზადებასა და განხორციელებას; სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების მომზადებასა და გამოქვეყნებას, რედაქტირებას, რეცენზირებას, თარგმნას; კვლევებში სტუდენტების ჩართვას და მათ ხელმძღვანელობას; სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზირებას სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების პროცესში ჩართულობას და სხვა აქტივობებს, რაც ადასტურებს პირის მონაწილეობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

- აღნიშნული ჩანაწერი თითქმის იდენტურია „ბ“ ტიპის ხელშეკრულებაში, რომელიც აფილირებულ პერსონალთან იდება, თუმცა „ა“ ტიპის ხელშეკრულებისგან განსხვავებულია შრომითი ანაზღაურების წესი. „ბ“ ტიპის ხელშეკრულების მიხედვით, აფილირებულ პერსონალ შრომითი ანაზღაურება მიეცემა საათობრივად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. წარმოდგენილი ხელშეკრულების ნიმუშების შესაბამისად, ვერ დგინდება არსებითი განსხვავება „ა“ და „ბ“ ტიპის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების და მოვალეობების განსხვავება.

- „ბ“ კონტრაქტის შესაბამისად, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი ვალდებულებისა მიეცემა სახელფასო ანაზღაურება ჩატარებული სალექციო საათების შესაბამისად. შესაბამისად, უსდ-ს აფილირების წესისა და ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერის მიუხედავად, ვერ ხორციელდება სათანადო მხარდაჭერა, რომელიც აუცილებელია პერსონალის წახალისებისათვის იზრუნონ პიროვნულ განვითარებასა და სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერებისათვის.

- III. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აფილირებულ პროფესორს წელიწადში ერთხელ დაუფინანსებს პრიორიტეტულ მიმართულებებში სამეცნიერო კვლევებს, გამოქვეყნებას, მონაწილეობის ხარჯებს. თუმცა ინტერვიუს შედეგად, დადგინდა რომ უსდ-ს მიერ მხარდაჭერილი და დაფინანსებული პროექტები ძალიან მწირია. უსდ-ს ძირითადი მხარდაჭერა გამოიხატება შექმნილი ნაშრომის გამოცემულ ხარჯის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურებით. უსდ-ს წარმომადგენლის განცხადებით სამეცნიერო და ინტერნაციონალიზაციის საკითხი გასაძლიერებელია.

- IV. პროგრამას უძღვება მისი ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, რომელსაც გააჩნია საგანმანათლებლო საქმიანობის რამდენიმე წლიანი გამოცდილება.

- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს პროგრამის შემუშავების პროცესს; უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, პროგრამის განვითარებას უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიის შესაბამისად; სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კურიკულუმის შესახებ, უწევს

<p>კონსულტაციას სასწავლო პროცესის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (საჭიროების შემთხვევაში) ოპტიმალურად დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, საკვალიფიკაციო ნაშრომთან, ნაშრომის ხელმძღვანელთან და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით; პასუხისმგებელია პროგრამის თანამედროვე სასწავლო მასალით უზრუნველყოფაზე; მონაწილეობს პოტენციური სტუდენტების მოზიდვის ღონისძიებებში; თანამშრომლობს სკოლის დეკანატთან, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან; თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის მოდიფიცირების მიზნით ორგანიზებას უკეთებს სამუშაო ჯგუფის შექმნას და ხელმძღვანელობს მის მუშაობას, აგვარებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს და სხვ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები; • პირადი საქმეები; • გასაუბრების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აფილირებული პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები იყოს განსხვავებული ანაზღაურების პირობების შესაბამისად. • უსდ-ს მიერ მოხდეს აკადემიური პერსონალის მიერ აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მონიტორინგი და მხარდაჭერა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ უსდ-ს წარმომადგენლების განცხადებითა და დოკუმენტაციით შესაბამისად. უსდ-ს მიერ მუდმივად ხორციელდება პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის შეფასება. უსდ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და დადგენილია შესაბამისი კომპონენტები. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომპონენტებია: სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა და ა.შ. უსდ-ს განცხადებისა და თვითშეფასების დოკუმენტის შესაბამისად, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისათვის შექმნილია შესაბამისი პირობები.

○ თუმცა გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროექტებში, კვლევებსა და სხვაგვარი აქტივობებში ჩართულობის სიმწირე. უსდ-ს წარმომადგენლების განცხადებით, სამეცნიერო კვლევის მიზნებისათვის უსდ-ს გააჩნია საკუთარი სამეცნიერო ჟურნალი, სადაც ხორციელდება სამეცნიერო ნაშრომებისა და კვლევის გამოქვეყნება. ამასთან, უსდ-ს მხარდაჭერით ხორციელდება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების სრული ან ნაწილობრივი ფინანსური მხარდაჭერა. აღნიშნული აქტივობის გარდა, პერსონალის მხრიდან ვერ იქნა გახსენებული მათი სხვაგვარი წახალისება (მათ შორის აკადემიური შვებულება, სამეცნიერო გრანტი, გაცვლითი პროგრამა, აკადემიური სტიპენდია), რომელიც მიმართული იქნებოდა აკადემიური

პერსონალის წახალისებისა და სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერებისათვის. ამავე დროს ვერ დასახელდა აკადემიური პერსონალის მობილობისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა უსდ-ს მხარდაჭერით.

○ პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით აკადემიური პერსონალისა წახალისების მიზნით განიხილება მათი სამეცნიერო ნაშრომების უსდ-სთან არსებულ ჟურნალში გამოქვეყნება. ამავე დროს აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს მოითხოვოს სხვადასხვა პროექტის დაფინანსება უსდ-ს ადმინისტრაციისაგან. თუმცა პერსონალთან გასაუბრების შედეგად ვერ იქნა დასახელებული მხარდაჭერილი პროექტის შესახებ. ამასთან, ვერ იქნა დასახელებული უსდ-ს მხარდაჭერით პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროექტში, რომელიც მიმართული იქნებოდა პერსონალის პროფესიული განვითარებისაკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის წახალისება/მხარდაჭერა სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის პროცესში;
- გაუმჯობესდეს უსდ-ს მიერ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის, სამეცნიერო, კვლევითი და პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, უსდ-ს გააჩნია შესაბამის მატერიალურ ტექნიკური ბაზა. საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება მოხდა ელექტრონული კომუნიკაციის შესაბამისი საშუალებების შედეგად. ბიბლიოთეკა მოიცავს, როგორც ელექტრონულ წიგნად ფონდს, ასევე, შესაბამისი რაოდენობის წიგნადი ფონდი არსებობს მატერიალური სახით. დისტანციური სწავლების მიზნით, მოხდა სხვადასხვა ლიტერატურის გაციფროვნება.
- უსდ-ს წარმომადგენლების განცხადების შესაბამისად, ბიბლიოთეკაში არსებობს სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ამავე დროს უსდ-ს შექმნილი აქვს საკანონმდებლო მაცნისა და სხვადასხვა სამეცნიერო ბაზების გამოყენების/მოხმარების ლიცენზია. სამეცნიერო ვიზიტის დროს მოხდა სამეცნიერო ბაზაზე წვდომის შემოწმება და სამეცნიერო ნაშრომის მოძიება. ამავე დროს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ხშირად უტარდებათ სემინარების სამეცნიერო ბაზებისა გამოყენების შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად, დადასტურდა, რომ სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკა საკმაოდ დაბალია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსებთან წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან (ონლინე);

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საკრედიტაციო განაცხადის დანართის სახით წარმოდგენილია სამართლის სკოლის ბიუჯეტი. პროგრამას არ ყავს მოქმედი სტუდენტი. 2017-2020 წლის განმავლობაში პროგრამას აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტი არ ჰყოლია.

პროგრამის მდგრადობის შემოწმებისა და ბიუჯეტის რამდენიმე არსებითი დეტალის დაზუსტების მიზნით, ინტერვიუების პროცესში მოწვეული იქნა საფინანსო სამსახურის წარმომადგენელი. უსდ-ს წარმომადგენლების მიერ განმარტებული იქნა, რომ პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია სკოლის ბიუჯეტით, თუმცა არასაკმარისობის შემთხვევაში ფინანსურის სახსრების მიღება შესაძლებელია უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

სკოლის წარმოდგენილი ბიუჯეტში ასახული მონაცემები არის, მოლოდინებზე დაფუძნებული. უსდ-ს წარმომადგენლების განმარტებით მისი განსაზღვრა მოხდა მომავალ წელს მისაღები სასურველი რაოდენობის სტუდენტების სწავლის საფასურის გაანგარიშებით. სკოლის ბიუჯეტი მოიცავდა სამივე პროგრამის სტუდენტთა მიერ გადასახდელი თანხის ჯამს. გასათვალისწინებელია, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა ბოლო წლებში მუდმივად კლებადია (2011- წელს ჩაირიცხა 11 სტუდენტი, 2019 – 12, ხოლო 2020 წელს -1 სტუდენტი), ხოლო სადოქტორო პროგრამა პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში მიმდინარეობს. შესაბამისად, ბიუჯეტის გაანგარიშების საფუძველი ვერ იქნა მკაფიოდ და რეალისტურად მითითებული უსდ-ს მიერ. დეტალების დაზუსტება ვერც ინტერვიუს პროცესში გახდა შესაძლებელი. საფინანსო სამსახურის უფროსის, დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისგან ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა ბიუჯეტში გათვალისწინებული მისაღები თანხის მოსალოდნელ და რეალურ წყაროს.

შესაბამისად, პროგრამის მკაფიო ფინანსური მდგრადობის დადგენა წარმოდგენილი მასალითა და ინტერვიუს შედეგად ვერ განხორციელდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სკოლის ბიუჯეტი;
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> რეალისტურ მონაცემებზე, წყაროებზე დაფუძნებით პროგრამის მკაფიო ბიუჯეტის შედგენა.
<p align="center">რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p align="center">-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p align="center">-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p align="center">-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			√	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება/უსდ) მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგების მიხედვით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირებას აწესრიგებს სამსახურის დებულება, რომლითაც დადგენილია სამსახურის ფუნქციონირების ზოგად მიმართულებები, ამოცანები და ფუნქციები, სამსახურის სტრუქტურა, სამსახურში დასაქმებული პირების მოვალეობები, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესები. დებულების მე-2 მუხლის 2.3. პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევების შეფასების წესების შემუშავება.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, უსდ-ში შიდა მექანიზმების მარეგულირებელ ძირითად აქტს წარმოადგენს 2017 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებული აქტი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ. აღნიშნული აქტის თანახმად: “ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების

შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ნაკლოვანების წარმოქმნის მიზეზებს, მათი აღმოფხვრის მიზნით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და რეაგირებისათვის წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.”

გარდა ამისა, მითითებული აქტით მოწესრიგებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელება ეფუძნება PDCA (დაგეგმვა-განხორციელება-შეამოწმე-განავითარე) ციკლის პრინციპებს. ციკლის სხვადასხვა ეტაპზე განსახორციელებელი ღონისძიებები მოიცავს უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსის შემოწმების, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ურთიერთობის პროცესში მათი მოლოდინებისა და კმაყოფილების კვლევის სხვადასხვა მექანიზმებს.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შეფასების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ აქტი ზოგადი და აღწერილობითი ხასიათისაა, რომელიც მოიცავს მექანიზმების საკმაოდ მრავალფეროვან ჩამონათვალს, თუმცა საჭიროებს დაზუსტებას, როგორ ხორციელდება მათი პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების პროცესები, ვინ არიან ჩართული პირები და შესაბამისი შედეგების აკადემიური საბჭოსათვის წარდგენის შემდგომ, რა ვალდებულებები აქვს აკადემიურ საბჭოს ამ შედეგების გამოყენებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების შემდგომი განვითარების მიზნებისათვის, მათი გათვალისწინების თვალსაზრისით.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი აქტები საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც თან ახლავს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს. დაწესებულების ვებ-გვერდზე ასევე იძებნება მარეგულირებელი აქტი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურების შესახებ (<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/05/20/4c6f152889feb907636fb50b82670129.pdf>).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შიდა აქტები წარმოადგენს გარკვეულწილად დუბლირებად დოკუმენტებს. ასე მაგალითად, პირველი მათგანი (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ) პირველი მუხლით ადგენს, რომ აღნიშნული აქტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხილვის, შეფასების, მასში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურებს.

მეორე აქტი (საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურების შესახებ) პირველი მუხლით ასევე ადგენს, რომ იგი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესსა და პროცედურებს.

ზემოხსენებული აქტები რიგი საკითხების მოწესრიგებაში კვეთენ ერთმანეთს, თუმცა პირველი მათგანით განსაზღვრული პროცესი სრულდება იქ, სადაც დაწესებულების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცედურებია გაწერილი, ხოლო მეორე მათგანი ადგენს ასევე საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებულ პროცესს.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის გაუქმების საკითხს უკავშირდება სტუდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ინტერესები. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, შიდა აქტით [\(<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/05/20/4c6f152889feb907636fb50b82670129.pdf>\)](https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/05/20/4c6f152889feb907636fb50b82670129.pdf)

განსაზღვრულია, რომ შესაბამისი სკოლა ვალდებულია მოახდინოს სტუდენტთა ინფორმირება და მიაწოდოს ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მობილობასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ. გაუქმებული პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები კი დეტალურად განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით. ასეთივე ზოგად მომწესრიგებელ ნორმას შეიცავს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი მე-14 მუხლში.

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის” (ე.წ. “მობილობის წესის”) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რიგგარეშე მობილობის გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, ავტორიზაციის ვადის გასვლის, დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმით, აკრედიტაციის გაუქმებით ან აკრედიტაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, დაწესებულება უფლებამოსილია გამოაცხადოს რიგგარეშე შიდა მობილობა, მის მიერ დადგენილი წესით, ამ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე

უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში ან დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.

როგორც ზემოხსენებული საკანონმდებლო ნორმების ანალიზი ცხადყოფს, იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულება თავად აუქმებს საგანმანათლებლო პროგრამას, ასეთი პროგრამის სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შემდგომი უზრუნველყოფის გარანტია (რიგგარეშე მობილობა) საკანონმდებლო დონეზე დადგენილი არ არის. თუკი თავად დაწესებულება არ სთავაზობს რაიმე ალტერნატივას, სტუდენტი ვალდებულია, დაელოდოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ მობილობის გამოცხადებას და ამ გზით შეინარჩუნოს სტუდენტის სტატუსი სხვა დაწესებულებაში. თუმცა თუკი პროგრამის გაუქმება არ დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ცხადდება საშემოდგომო ან საგაზაფხულო მობილობის პროცესი, სტუდენტი ფაქტობრივად კარგავს მობილობაში მონაწილეობის უფლებას, რადგან განსხვავებით სხვა კატეგორიის პირებისგან, მათ სტატუსი ავტომატურად შეჩერებულად არ ითვლება 5 წლის განმავლობაში, როგორც ეს “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” კანონის მე-16 ან 24-ე მუხლებითაა განსაზღვრული.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, აუცილებელია, უნივერსიტეტს მკაფიოდ და ზუსტად ჰქონდეს განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები და სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. მაგალითად, მობილობის წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ასე შემთხვევაში უსდ-ს უფლება აქვს გამოაცხადოს რიგგარეშე შიდა მობილობა. ამასთან, თუკი სტუდენტებს ნაცვლად უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა, სურთ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა, საგაზაფხულო და საშემოდგომო მობილობის ვადებისა და პროგრამის გაუქმების პერიოდის ურთიერთმიმართების რისკის გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ არის საუბარი, უსდ-მ უნდა გამოსცეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ აქტი, საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გამო. სტატუსის აღნიშნული ცვლილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა აისახოს უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, რათა გაუქმებული პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ შემდგომ მობილობის გზით სხვა დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების საშუალება.

3. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის 5.3 ქვეპუნქტში გასასწორებელია ჩანაწერი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების თაობაზე იმის

გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მთლიანი პროგრამის მოცულობა აღარ იზომება 180 კრედიტის ოდენობით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების დღეისათვის მოქმედი რედაქციის თანახმად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. იგივე ჩანაწერი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მოცულობის თაობაზე კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლში.

4. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ დაწესებულების აქტივ მოიცავს, PDCA ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კვლევები, პროგრამების, სასწავლო პროცესის, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული საქმიანობის, სასწავლო პროცესისა და ა.შ. პერიოდული შემოწმება და შესაბამისი შედეგების განხილვა და ანალიზი. აღნიშნული პროცესების კოორდინირებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი კითხვარებისა და კვლევების განხორციელებისათვის საჭირო ფორმები. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს რეგულაცია სწავლის შედეგების მექანიზმების შესახებ, სადაც გაწერილია, რა კრიტერიუმებით ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასება.

შენიშვნა: თუმცა ზემოხსენებული აქტი არ მოიცავს ნორმებს ამ მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების პროცედურის შესახებ, ვინ არიან ჩართული და პასუხისმგებელი პირები, ვის წარედგინება შეფასების შედეგები და როგორ ხორციელდება მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ხარისხის სამსახური ყოველი წლის დასაწყისში ადგენს გეგმას, სადაც განსაზღვრავს დაწესებულებაში განსახორციელებელი შეფასებებისა და კვლევების განრიგს. დაწესებულებას მკაფიოდ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების პროცესი, მისი ზოგადი პრინციპები, რა პერიოდულობით ახორციელებს რა ტიპის შეფასებებსა და კვლევებს, ვის წარუდგენს მიღებულ შედეგებს და როგორ ხდება ამ შედეგების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელება აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ საქმიანობაში. პროცესის ამგვარად დარეგულირება ობიექტურსა და გამჭვირვალეს გახდის

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებას, დაეხმარება დაწესებულებას გამოსაკითხი თუ საკვლევი პირების მოლოდინებისა და კმაყოფილების სწორად იდენტიფიცირებაში, ხოლო პერსონალს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ნათელ სურათს მისცემს უნივერსიტეტში არსებული ხარისხის კულტურის შესახებ.

5. დაწესებულება ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომლის თანახმად, თითოეული მათგანი ფასდება სხვადასხვა ჭრილში, მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შესაბამისად.

შენიშვნა: თუმცა შეფასების წესით არ არის განსაზღვრული ამ შეფასების განხორციელების პერიოდულობა.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის დატვირთვისა და აფილირების წესები, ასევე პერსონალის მართვის პოლიტიკა. თუმცა ეს უკანასკნელი საჭიროებს დამაზუსტებელი ნორმების დამატებას იმის თაობაზე, თუ როგორ ახორციელებს დაწესებულება ამ პოლიტიკის დანერგვასა და პრაქტიკაში განხორციელებას.

7. გარდა ზემოხსენებული აქტებისა, უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ასევე სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, რომლებითაც მოწესრიგებულია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის, სწავლის, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხები.

8. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის თვისებრივი კვლევა, რომელიც განხორციელებულია საბაზრო კვლევის კონსულტანტი კომპანიის მიერ. როგორც დაწესებულება აცხადებს, აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. კვლევა საკმაოდ სიღრმისეულად არის შესრულებული, რომელიც საშუალებას იძლევა დაიდენტიფიცირდეს დამსაქმებელთა მოთხოვნები და მოლოდინები.

შენიშვნა: მიზანშეწონილია, კვლევების განხორციელების თაობაზე დოკუმენტში, კვლევის განმახორციელებელმა (იქნება ეს თავად უნივერსიტეტი თუ დაქირავებული პირი) უზრუნველყოს მონაცემთა სანდოობის კომპონენტის უფრო მეტად გამოკვეთა, რაც გულისხმობს იმას, რომ კვლევაში მიეთითოს გამოყენებული სტატისტიკური თუ სხვა სახის მონაცემების წყაროები. აღნიშნული საშუალებას იძლევა, რომ კვლევაზე დაყრდნობით განხორციელებული ღონისძიებები იყოს სარწმუნო და სანდო და შეფასდეს ობიექტურად.

ზემოხსენებული მსჯელობის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ნათლად რეგულირება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობაში მოყვანა კანონმდებლობასთან და პროცესებისათვის ფორმალიზებული, ერთგვაროვანი ხასიათის მიცემა. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მისი განხორციელების პროცესი უნდა იყოს ერთგვაროვანი, რაც ასევე გულისხმობს იმას, რომ ფაკულტეტებმა (სკოლებმა), პერსონალმა (ადმინისტრაციული თუ აკადემიური), სტუდენტებმაც კი უნდა აიღონ პასუხისმგებლობა დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაში საკუთარი ფუნქციის განხორციელებასა და წვლილის შეტანაზე. აღნიშნული ფუნქციები კი უნდა იყოს მკაფიოდ გაწერილი და განსაზღვრული მათი ადრესატებისათვის. როგორ განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკა, შესაბამისი პროცედურები და მონიტორინგი, განეკუთვნება მთლიანად დაწესებულების კომპეტენციას და იგი თავად ადგენს ამას, ამასთან, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი შიდა აქტების მუდმივად განახლება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად და მათი სრულად განთავსება საჯაროდ ვებ-გვერდზე, ყველა დაინტერესებული პირისათვის. დაწესებულებას ატვირთული აქვს ვებ-გვერდზე რიგი შიდა მომწესრიგებელი აქტებისა, თუმცა არ არის განთავსებული სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, არ იძებნება ასევე მის მიერ დამტკიცებული პერსონალის დატვირთვისა და პერსონალის აფილირების წესები, აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი და ა.შ..

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დაწესებულების ვებ-გვერდი: www.sdasu.edu.ge
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის კვლევა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ;

<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურების შესახებ; • პერსონალის მართვის პოლიტიკა; • პერსონალის აფილირების წესი; • პერსონალის დატვირთვის წესი; • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების შესახებ დამტკიცებული შიდა აქტით განსაზღვრული მექანიზმების დანერგვისა და გამოყენების პროცესების მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფა და მათი განხორციელების პროცესების ჯეროვნად რეგულირება; • შიდა მარეგულირებელი აქტების, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების განხორციელების დებულების იმ ნორმების შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან, სადაც დოქტორანტურის პროგრამების მოცულობა განსაზღვრულია 180 კრედიტით; • პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის ზუსტი მექანიზმების განსაზღვრა;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p style="text-align: center;">-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ასახულია, გარე შეფასების ნაწილში, უნივერსიტეტის შემოწმება განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2018 წელს ავტორიზაციის პროცესში ინსტიტუციურ ჭრილში, ხოლო 2020 წელს პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 28 სექტემბრის N904416 გადაწყვეტილებით შპს “საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის” სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა ერთ წლიანი პირობითი აკრედიტაცია და განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის გ) ქვეპუნქტის თანახმად „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამა მოსაყვანია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. - *შესრულებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა წარმოადგენს 45 კრედიტს.*

2. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.

3. პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და მიზნების მიღწევადობის ერთ ერთი ფუნდამენტური გარანტია პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ყველა ვალდებულების აკადემიურ დონეზე განხორციელება. ამიტომაც, უნდა გადაიხედოს სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებული საკითხები, სამეცნიერო ნაშრომების აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები, სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის აკადემიური ფორმით ჩამოყალიბების საკითხები.

4. პროგრამის მიზანი-შექმნას ახალი ცოდნა და შესთავაზოს სტუდენტს კვლევის ინოვაციური მეთოდები, საჭიროებს ახსნას და დეტალიზებას პროგრამის შინაარსით

(და სათანადო კომპონენტებით), რათა უკეთ იქნეს გაგებული პროგრამის მიღწევადობის შედეგები, ამავდროულად, -პროგრამის მომხმარებლისთვისაც უკეთ იყოს გაგებული, რატომ უნდა აირჩიოს კონკრეტულად ეს პროგრამა და არა სხვა.

5. პროგრამის მიზნის მიღწევადობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების გამოყენების პოლიტიკა. აუცილებელია მყარი ურთიერთკავშირების გამოკვეთა სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის.

6. სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში უნდა განისაზღვროს უცხო ენათა რაოდენობა ჩამონათვალის სახით, რათა უნივერსიტეტს არ შეექმნას პრობლემა მიღებული დოქტორანტის იმ ენაზე სწავლის რესურსით უზრუნველყოფის კუთხით, რომელ ენაზეც ლიტერატურაც (მათ შორის, ელექტრონული) არ მოიძიება მის საბიბლიოთეკო ბაზაში. ამასთან, უცხო ენის განსაზღვრა ხელს უწყობს პროგრამაზე მიღების გამჭვირვალობასა და ღიაობას - *შესრულებულია. დებულების მე-18 და მე-19 მუხლებით დადგენილია, რომ დოქტორანტობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე.*

7. დებულებაში უნდა გაიწეროს ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოხდება სადისერტაციო თემატიკის წინასწარ განსაზღვრა, რომელზეც დოქტორანტობის მსურველ პირს შეეძლება ჩაბარება.

8. უნივერსიტეტმა სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილში, სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უნდა გამიჯნოს შეთავაზებული კომპონენტების მიხედვით, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება თითოეული კომპონენტის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან და რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

9. საჭიროა მაქსიმალურად მოხდეს წახალისება, საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა სრული დაფინანსება საერთაშორისო გაცვლით პროექტებში, მათი ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნება. იმისთვის, რომ სტუდენტმა შეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ნაშრომის დამუშავება, საჭიროა გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი კვლევითი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იქნეს სამართლის ყველა დარგის მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ და აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია.

10. აუცილებელია იურიდიული საბიბლიოთეკო ბაზების ინტეგრირება კვლევის პროცესში, რამდენიმე მნიშვნელოვან ელექტრონულ სამართლებრივ ბაზაზე (მაგ., HEINONLINE, BECKONLINE, LEXINEXIS, WESTLAW და ა.შ.) შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა - შესრულებულია დაწესებულებას შეძენილი აქვს წვდომა ელექტრონულ სამართლებრივ ბაზებზე;

11. აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად აქტიურად და რეალურად იყოს გამოყენებული შიდა და გარე

შეფასების მექანიზმები, რა პროცესში რეალურად იქნება ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე - ნაწილობრივ შესრულებულია - დაწესებულებას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ შიდა აქტი, სადაც გაწერილია შეფასების მექანიზმები. ამასთან, შემუშავებულია შიდა აქტი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დანართი 14-4), თუმცა აღნიშნული წესი არ მოიცავს ჩანაწერს იმის თაობაზე, თუ რა პერიოდულობით უნდა განხორციელდეს შეფასება; შემუშავებულია აქტი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ (დანართი 6), თუმცა აღნიშნული აქტი არ მოიცავს ნორმებს იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ამ მექანიზმების გამოყენება და სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ორგანიზება. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით (დანართი 14-1) განსაზღვრულ შეფასების სხვა მექანიზმებს, ფორმალურად არ არის გაწერილი პროცესი, თუ როგორ, ვისი ჩართულობით, რა პერიოდულობით ხორციელდება ამ შეფასებების განხორციელება და როგორ ხდება შეფასების შედეგების საფუძველზე შემდგომი ღონისძიებების განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის დებულების მე-4 პუნქტი საჭიროებს უფრო მეტ კონკრეტიკას და მასში აღწერილი პროცესის დაზუსტებას, ზემოხსენებული კრიტერიუმებით.

12. აუცილებელია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი სრულად ასოცირდებოდეს უნივერსიტეტთან და მისი პირველადი და ძირითადი საქმიანობა კვლევა, პროგრამის ხელმძღვანელობა იყოს, რათა მაქსიმალურად ბევრი დრო დაუთმოს პროგრამის განხორციელებასა და მის შემდგომ განვითარებას.

ნაწილი მათგანი დაწესებულების მიერ გამოსწორებული და შესრულებულია, თუმცა ნაწილი საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებისა კვლავ საჭიროებს დამუშავებას და უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.

ამასთან, როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული და ინტერვიუს ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათ განახორციელეს დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა, რომლის შედეგები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. ანგარიშს თან ახლავს განხორციელებული კვლევის დოკუმენტი. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულების ვებ-გვერდზე (<https://sdasu.edu.ge/ka/chven-shesakheb/khariskhis-uzrunvelyofa>) ასევე იძებნება ინფორმაცია ხარისხის სამსახურის მიერ სხვადასხვა ასპექტში განხორციელებული გამოკითხვების შესახებ, მათ შორის, დამსაქმებლების პროგრამაში ჩართულობის, ასევე შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების თაობაზე. თუმცა აღნიშნულ კვლევებს აკლია სიზუსტისა და სანდოობის კომპონენტი, რაც გულისხმობს იმას, რომ არ არის მითითებული რა პერიოდში განხორციელდა, როგორი პროცედურით, რა მეთოდის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 28 სექტემბრის N904416 გადაწყვეტილება;
2. თვითშეფასების ანგარიში;

3. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

4. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გარდა კანონმდებლობით დადგენილი გარე შეფასების მეთოდებისა, რომლებიც ისედაც სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის, რეგულარულად უზრუნველყოს პროგრამის გარე შეფასება სხვადასხვა მეთოდებით (დამსაქმებლების მიერ, განმავითარებელი კოლეგიალური, უცხოელი ექსპერტების ჩართულობით) და უზრუნველყოფს შეფასების შედეგების შემდგომი განხილვისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისათვის გამოყენება. ხოლო შიდა შეფასებების განხორციელების პროცესები დეტალურად უნდა იყოს ფორმალურად გაწერილი, შესაბამისი პერიოდულობის, გამოსაყენებელი მეთოდის, პასუხისმგებელი პირებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შემდგომი რეაგირების ღონისძიებების მითითებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დღეის მდგომარეობით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამას აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები არ ჰყავს. შესაბამისად, პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული საკითხების შეფასება ვერ განხორციელდა, თუმცა თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, ინტერვიუს პროცესში განხორციელდა ზოგადად უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პოლიტიკისა და დანერგილი პროცედურების შეფასება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ აქტის თანახმად, PDCA ციკლის “განხორციელების” ეტაპის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს, ატარებს სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის, სასწავლო კომპონენტების, პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, სტუდენტური სერვისების, საბიბლიოთეკო რესურსებისა და ა.შ. შემოწმების მიზნით, ახორციელებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანონიმურ გამოკითხვას პროგრამის განვითარების მიზნით, ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს. გამოკითხვები ხორციელდება უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მხარდაჭერით. გამოკითხვების შედეგების ანალიზი ხორციელდება ხარისხის სამსახურის მიერ, შემდგომი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ამასთან, როგორც ინტერვიუში ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი აღნიშნავს, განხორციელებული შეფასებები და კვლევები იგეგმება სასწავლო წლის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ხოლო საბოლოო შედეგები აისახება აკადემიური საბჭოს ოქმებში. დამტკიცებული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ამ შეფასებებისა და კვლევების პერიოდულობასა და განხორციელების პროცესს, დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს. ამასთან, ამავე წარმომადგენლის განცხადებით,

დაწესებულებაში დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებულია ხარისხის კულტურა, რომლის გათვალისწინებით, პროგრამების განვითარების მიზნებისათვის სხვადასხვა ტიპის კვლევები და გამოკითხვები ტარდება სულ მცირე ყოველწლიურად.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიიჩნევს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა საკმარისია პროცესების ორგანიზებისა და წარმართვისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტში არსებობდეს მონიტორინგის ერთიანი სისტემა, რომელიც გულისხმობს პირველ რიგში ამ პროცესის ფორმალური მხარის დაკმაყოფილებას მარეგულირებელი აქტების შემუშავების საფუძველზე, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი რა კომპონენტებისგან შედგება აღნიშნული სისტემა, რა არის ამ მონიტორინგის მიზანი, რა მეთოდებით, რა პერიოდულობით, ვისი ჩართულობითა და პასუხისმგებლობით ახორციელებს დაწესებულება ამ პროცესს, ხოლო განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ვის უნდა წარედგინოს, როგორი უნდა იყოს ამ შედეგების გაანალიზებისა და შემდგომი რეაგირების პროცესი და როგორ მოხდება მათი გამოყენება პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული სემესტრული თუ წლიური შეფასებისა და გამოკითხვების მასშტაბი, განხორციელდება პროგრამის შეფასება სრულად თუ ცალკეული კომპონენტების შემოწმების მიზნით. გარდა აღნიშნულისა, მიზანშეწონილია, დაინერგოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ თვითშეფასების განხორციელების პროცესი, რომლის შედეგები შედარდება ამავე კონტიგენტის სტუდენტების მიერ შეფასების შედეგებს. სხვადასხვა მეთოდით შეკრებილი ამგვარი მონაცემების კომპლექსური გაანალიზება დაწესებულებას საშუალებას მისცემს, მიიღოს მაქსიმალურად ობიექტური სურათი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისა და ამ პროგრამის ბენეფიციართა მოლოდინების შესახებ, რაც ასევე დაეხმარება შესაბამის პასუხისმგებელ პირებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტის დებულება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების შესახებ;
2. თვითშეფასების ანგარიში;
3. გამოკითხვების შედეგები;
4. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
5. ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნა, შესაბამისი მარეგულირებელი აქტის გაწერის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების პროცესი მონიტორინგის მიზნებისათვის, მათ შორის, ისეთი კომპონენტები, როგორცაა სტუდენტების მიერ სასწავლო კომპონენტებისა და ამ კომპონენტების განმახორციელებელი პირების სხვადასხვა კრიტერიუმებით შეფასება ამ კურსების დასრულებისას, სწავლების პროცესის შემოწმება ლექციებზე დასწრების მეშვეობით, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებისა და ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევებისა და შეფასებების განხილვის ვალდებულება და პერიოდულობა და სხვა. ამასთან, პროგრამაში დასაქმების ბაზრის მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვის მიზნით, აუცილებელია რეგულარულად ხორციელდებოდეს დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შედეგების ანალიზი და შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

აღმაშენებლის

სახელობის შპს საქართველოს დავით უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამა “სამართალი”

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 84

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის			✓	

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			✓	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



სახელი, გვარი, ხელმოწერა: ლევან ჯაყელი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:



სახელი, გვარი, ხელმოწერა: სესილი ქადარია



სახელი, გვარი, ხელმოწერა: ზვიად როგავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ლიპარტია



სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფო უგრეხელიძე

